პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 31 ოქტომბერი, 1944 წ. № 220 (7173). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის.

# მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი
## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა
## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს XXVII წლისთავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისას, რომელმაც დაამხო იმპერიალისტთა ძალა-უფლება ჩვენს ქვეყანაში და შექმნა მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო — სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი, ხალხთა შორის მშვიდობიანობის ბურჯი!

2. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან. გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ საბჭოთა სამშობლოს! გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას — განმათავისუფლებელ არმიას!

3. გაუმარჯოს მამაც წითელ არმიას, რომელიც ანადგურებს ჰიტლერელ დამპყრობლებს გერმანიის ტერიტორიაზე! დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მეომრებო! წინ, დასავლეთისაკენ! საბოლოოდ მოვსპოთ ფაშისტი მხეცი მის ბუნაგში!

4. დავსაჯოთ გერმანელი ფაშისტი მტარვალები ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გაძარცვისა და დანგრევისათვის, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობისათვის, საბჭოთა ადამიანების მკვლელობისა და გერმანიის მონობაში წაყვანისათვის! შურისძიება და სიკვდილი ფაშისტ ბოროტმოქმედებს!

5. გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებას კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე! გაერთიანებული ერების მთელი ძალები და საბრძოლო ძლიერება ჰიტლერული გერმანიის უსწრაფესი განადგურებისათვის! დავანგრიოთ ფაშისტი კაციჭამიების ავაზაკური ბუდე და უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის!

6. სალამი დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მამაც ჯარებს, რომლებიც ანადგურებენ ჰიტლერელთა ურდოებს დასავლეთ ევროპაში! სალამი ინგლისისა და ამერიკის მამაც მეზღვაურებს, რომლებიც იბრძვიან ფაშისტ მეკობრეთა წინააღმდეგ!

7. სალამი იუგოსლაველ ხალხს! გაუმარჯოს იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელ გმირ არმიას, რომელიც წითელი არმიის მხარდამხარ ათავისუფლებს თავის სამშობლოს გერმანელ დამმონებელთაგან!

8. სალამი პოლონელ ხალხს, რომელიც იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ! პოლონეთის პატრიოტებო! მთელი ძალებით დაეხმარეთ თქვენს განმათავისუფლებლებს — წითელ არმიასა და პოლონეთის ჯარს მალე გაანადგურონ საძულველი გერმანელი ოკუპანტები! გაუმარჯოს პოლონეთის ჯარის მამაც ჯარისკაცებსა და ოფიცრებს!

9. სალამი ფრანგ ხალხს, რომელიც მოკავშირეთა არმიებთან ერთად ამთავრებს საფრანგეთის განთავისუფლებას გერმანიის უღლისაგან! საბრძოლო სალამი ფრანგთა საავიაციო ნაწილ „ნორმანდიის" მამაც მფრინავებს, რომლებიც საბჭოთა მფრინავებთან მხარდამხარ ანადგურებენ გერმანელ ფაშისტ ბარბაროსებს!

10. სალამი ჩეხოსლოვაკიელ ხალხს, რომელიც იბრძვის გერმანელ ფაშისტ მტარვალთა წინააღმდეგ! ჩეხოსლოვაკიის პატრიოტებო! მთელი ძალები წითელი არმიის დასახმარებლად, რომელიც ათავისუფლებს თქვენს სამშობლოს ჰიტლერელ დამპყრობთაგან! საბრძოლო სალამი ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ჩეხოსლოვაკიის კორპუსისას, რომელიც წითელ არმიასთან მხარდამხარ იბრძვის გერმანელ ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ!

11. სალამი ევროპის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ! გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა მიერ დაჩაგრული ევროპის ქვეყნების პატრიოტებო! აღსდექით საბრძოლველად ფაშისტური უღლისაგან თქვენი განთავისუფლებისათვის! ძირს ჰიტლერული ტირანია!

12. ძმებო სლავებო! მთელი ძალები გერმანელ დამპყრობთა — სლავობის მოსისხლე მტერთა გასანადგურებლად! გაუმარჯოს სლავი ხალხების საბრძოლო კავშირს, რომლებიც იბრძვიან ჰიტლერული ტირანიის მოსასპობად!

13. წითელი არმიის მეომრებო! თქვენ მიგელიან, როგორც განმათავისუფლებლებს მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გერმანიის კატორღაში ჰგმინავენ. გავათავისუფლოთ ფაშისტური ტყვეობისაგან ჩვენი ძმები და დები!

14. წითელი არმიის მეომრებო! დაუღალავად სრულჰყავით თქვენი საბრძოლო ოსტატობა, მთლიანად გამოიყენეთ ჩვენი საუცხოო საბრძოლო ტექნიკა, ურტყით მტრის ჯარებს მათს საბოლოო განადგურებამდე!

15. წითელი არმიის ქვეითებო! მარჯვედ დასძლიეთ მტრის თავდაცვა, განამტკიცეთ და განავითარეთ შეტევის წარმატება, სდევნეთ და ანადგურეთ მოწინააღმდეგის ჯარები, გარს შემოერტყით და ულიტეთ გერმანელი დამპყრობლები! გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ქვეითებს!

16. წითელი არმიის არტილერისტებო და ნაღმტყორცნელებო! მძლავრი და მარჯვე ცეცხლითი დარტყმებით ამსხვრიეთ მოწინააღმდეგის სიმაგრეები, მუსრეთ მისი თავდაცვა! გზა გაუკაფეთ ჩვენს შემტევ ჯარებს, ანადგურეთ მტრის ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა! სრულჰყავით ქვეითი ჯარისა და ტანკების თანამოქმედება! გაუმარჯოს წითელი არმიის არტილერისტებსა და ნაღმტყორცნელებს!

17. წითელი არმიის ტანკისტებო! ანადგურეთ და კვალდაკვალ სდევნეთ მტერი! მარჯვე და გაბედული მანევრით შეიჭერით მოწინააღმდეგის ზურგში, უკანდასახევი გზები მოუჭერით მტრის ჯარებს, ულიტეთ გერმანელი დამპყრობლები! გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებს!

18. საბჭოთა მფრინავებო — ჩვენი სამშობლოს შევარდნებო! დაუნდობლად ულიტეთ მტერი მიწაზე, ჰაერში და ზღვაში! გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს!

19. წითელი არმიის კავალერისტებო! სწრაფად სდევნეთ მტრის ჯარები, გაბედულად შეიჭერით მოწინააღმდეგის რიგებში, შემოუარეთ მის ფლანგებს, მოახდინეთ გაბედული რეისები მტრის ზურგში, გარს შემოერტყით და ულიტეთ გერმანელი ფაშისტი ქვეწარმავალნი! გაუმარჯოს საბჭოთა ცხენოსნებს!

20. სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებო და ოფიცრებო! უფრო მაგრად ურტყით მტრის საზღვაო კომუნიკაციებს! ჩასძირეთ მოწინააღმდეგის ხომალდები და ტრანსპორტები, გასწმინდეთ ზღვის სივრცეები ჰიტლერული სიბილწისაგან! დაუნდობლად ულიტეთ ჰიტლერელი დამპყრობლები ზღვაში და ხმელეთზე! გაუმარჯოს საბჭოთა სამხედრო მეზღვაურებს!

21. წითელი არმიის მეკავშირეებო! კარგი კავშირი ბრძოლის მართვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ყოველნაირად აუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საქმე წითელ არმიაში, უზრუნველჰყავით მისი საბრძოლო ოპერაციების წარმატება! გაუმარჯოს საბჭოთა მეკავშირეებს!

22. წითელი არმიის მზვერავებო! გახსოვდეთ, რომ დაზვერვა არმიის თვალი და ყურია. გაბედულად შეაღწიეთ მოწინააღმდეგის განლაგებაში! დროზე გამოააშკარავეთ მტრის განზრახვანი და მოსაზრებანი, დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს აუცდენლად ურტყან მას! გაუმარჯოს საბჭოთა მზვერავებს!

23. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებს, საბჭოთა საზღვრების ერთგულ დამცველთ!

24. საინჟინრო ჯარების მებრძოლებო და ოფიცრებო! დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს წარმატებით მიიტანონ იერიში მტრის სიმაგრეებზე, გადალახონ მდინარეები, დასძლიონ დანაღმული მინდვრები და ძნელად გასავლელი ადგილები, განამტკიცონ და განავითარონ შეტევის წარმატებანი! გაუმარჯოს წითელი არმიის საინჟინრო ჯარებს! გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესანგრეებსა და მენაღმეებს!

25. წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებო! თავდადებულად იბრძოლეთ დაჭრილ საბჭოთა მეომრების სიცოცხლის გადარჩენისა და მწყობრში მათი დაბრუნებისათვის! გაუმარჯოს წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებს!

26. ჯარის ზურგის მუშაკებო! წითელი არმიის მეავტომობილეებო და გზის მუშაკებო! დროზე მიაწოდეთ წითელ არმიას საბრძოლო ტექნიკა, საომარი მასალა, საჭურველი და სურსათი! გაუმარჯოს ჯარის ზურგის მუშაკებს! გაუმარჯოს წითელი არმიის მეავტომობილეებსა და გზის მუშაკებს!

27. დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს და სოციალისტური შრომის გმირებს — ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

28. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ფრონტელთა ოჯახებისათვის ზრუნვა ყველა საბჭოთა პატრიოტის წმიდა მოვალეობაა. საყოველთაო ყურადღებითა და მზრუნველობით მოვეპყროთ სამშობლოს განმათავისუფლებელთა ოჯახებს!

29. საჭურვლისა და საომარი მასალის დამამზადებელ საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ შაშხანების, ავტომატების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების, ქვემეხების, ყუმბარების, ვაზნებისა და ნაღმების გამოშვება! სრულჰყავით და აუმჯობესეთ საბრძოლო პროდუქციის ხარისხი! აითვისეთ საჭურვლის ახალი ნიმუშები! ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!

30. სატანკო ქარხნების მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მიეცით წითელ არმიას მეტი ტანკები! წარმატებით აითვისეთ საბრძოლო მანქანების ახალი ტიპები! რამდენადაც მეტია კარგი ტანკები — მით უფრო ახლოა მტერზე გამარჯვების ჟამი!

31. საავიაციო ქარხნების მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაუღალავად სრულჰყავით საბჭოთა თვითმფრინავები! მიეცით წითელ არმიას მეტი ავიაგამანადგურებლები, მოიერიშეები, ბომბდამშენები!

32. ნავთის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ნავთის მოპოვება! მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი საწვავი!

33. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! თქვენზეა დამოკიდებული ტრანსპორტის, ფაბრიკებისა და ქარხნების შეუფერხებელი მუშაობა. გაადიდეთ ქვანახშირის ამოღება, უზრუნველჰყავით სათბობით ფრონტისა და ზურგის მთელი მოთხოვნილება!

34. მეტალურგიული ქარხნების მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მეტი ლითონი ტანკებისა, თვითმფრინავებისა, ქვემეხებისა, ტყვიამფრქვევებისა და ყუმბარებისათვის! მეტი ლითონი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის!

35. მოტორმშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! თანამედროვე ომი მოტორების ომია. გაადიდეთ მოტორების წარმოება თვითმფრინავებისა, ტანკებისა, ავტომობილებისა და ხომალდებისათვის!

36. დაზგათმშენებელი ქარხნების მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გახსოვდეთ, რომ დაზგათმშენებლობა ჩვენი ქვეყნის ტექნიკური შეიარაღების უმნიშვნელოვანესი ბაზაა. განუწყვეტლად გაადიდეთ ჩარხების გამოშვება! ხელი შეუწყეთ მშენებლობისა და აღდგენის პროცესში მყოფი ქარხნების უფრო მალე მოწყობას!

37. მშენებლო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ჩქარი მეთოდებით აშენეთ ახალი ბრძმედები, მარტენები, შახტები, ელექტროსადგურები და ქარხნები! უფრო მალე აღადგინეთ გერმანელ დამპყრობთა მიერ დანგრეული ქალაქები, სამრეწველო საწარმოები და ბინები!

38. ელექტროსადგურთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უზრუნველჰყავით სამხედრო მრეწველობის შეუფერხებელი მუშაობა! უფრო მალე აღადგინეთ გერმანელ ფაშისტ ბარბაროსთა მიერ დანგრეული ელექტროსადგურები! გაადიდეთ ენერგეტიკული სიმძლავრენი!

39. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ზარდეთ შრომის ნაყოფიერება, დღითიდღე გაადიდეთ ჩაცმულობის წარმოება წითელი არმიისათვის და ფართო მოხმარების საქონლის წარმოება მოსახლეობისათვის!

40. ადგილობრივი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მეტი თაოსნობა ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში, გაადიდეთ პროდუქციის გამოშვება მოსახლეობისა და წითელი არმიისათვის!

41. კვების მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ კვების პროდუქტების წარმოება არმიისა და მოსახლეობისათვის!

42. საბჭოთა რკინიგზელებო! თავდადებული და ზუსტი მუშაობით უზრუნველჰყავით წითელი არმიის შეტევის წარმატება! მოაწყეთ ჯარებისა და სამხედრო და სახალხო-სამეურნეო ტვირთის ტრანსპორტთა სწრაფი გატარება! დაუცხრომლად განამტკიცეთ სამხედრო დისციპლინა რკინიგზებზე! უფრო მალე აღადგინეთ გერმანელთა მიერ დანგრეული რკინიგზები და ნაგებობანი!

43. სამდინარო და საზღვაო ფლოტის მუშაკებო! უზრუნველჰყავით ფლოტის, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების ზუსტი მუშაობა! შეუფერხებლად მიაწოდეთ ტვირთი ფრონტსა და ზურგს! უფრო მალე აღადგინეთ საზღვაო და სამდინარო ფლოტი, სანავსადგურო ნაგებობანი და ნავმისადგომთა მეურნეობა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ აუზებში!

44. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მიეცით ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი და ნედლეული მრეწველობისათვის! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და წითელი არმიის ფონდში გეგმის გადამეტებით პურის ჩაბარებისათვის! გაუმარჯოს საბჭოთა გლეხობას!

45. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო, ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარებო! მივაღწიოთ პირუტყვის სულადობის შემდგომს მატებას, მთლიანად შევინარჩუნოთ მოზარდეული! ვზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა! გავადიდოთ წითელი არმიისა და ჩვენი ქვეყნის მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებით!

46. საბჭოთა ინტელიგენციავ! ინჟინრებო და ტექნიკოსებო, აგრონომებო, მასწავლებლებო, ექიმებო, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებო! საბჭოთა საწარმოებისა და დაწესებულებების მოსამსახურენო! დაეხმარეთ მუშებსა და კოლმეურნეებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომს აღმავლობაში, წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა! გაუმარჯოს საბჭოთა ინტელიგენციას!

47. გერმანიის ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების მშრომელებო! უფრო მალე აღადგინეთ ჰიტლერელი ავაზაკების მიერ დანგრეული ქალაქები და სოფლები, მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა და კულტურულ-ყოფაცხოვრებითი დაწესებულებანი! დღითიდღე გაადიდეთ დახმარება თქვენი განმათავისუფლებლის — წითელი არმიისადმი!

48. საბჭოთა ქალებო! დაეუფლეთ საწარმოო სპეციალობებს, ამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, შეისწავლეთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე, სასანიტარო საქმე, კავშირგაბმულობა. მთელი ძალები მოახმარეთ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას! გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს!

49. საბჭოთა ჭაბუკნო და ქალიშვილნო! თავდადებით იშრომეთ ფრონტის დასახმარებლად, დაეუფლეთ წარმოების ტექნიკას, სამხედრო საქმეს, გვიჩვენეთ შრომითი დისციპლინის ნიმუშები! გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

50. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში!

51. გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხების მეგობრობის, ბედნიერებისა და დიდების საიმედო ბურჯს! გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

52. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

53. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

54. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის!

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
## 29 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ უჟგოროდის სამხრეთით, ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი ჩოპი.

უნგრეთში, ქალაქ სატუ-მარეს დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები ნიირ-პარასნია, პაპოში, ორი, იარმი, კანტორიანოში, დერჟი, დიულაი, მარია-პოჩი, პოჩპეტრი, კოლო-შემიენი და რკინიგზის სადგური მარია-პოჩი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

28 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 88 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

## 30 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

30 ოქტომბრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ უჟგოროდის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები ჩაბალოცე, ოლშინოვი, ვილაგი, პარიგუზოვცე, გრივიშტე, ხონკოვცე, ტიბავა. დაზუსტებული ცნობებით, 27-დან 29 ოქტომბრამდე უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მოქმედებენ, ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 10.160 ჯარისკაცი და ოფიცერი. ამნაირად, გერმანელ და უნგრელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რაოდენობა, რომლებიც უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა 20-დან 29 ოქტომბრამდე წარმოებული ბრძოლების განმავლობაში ტყვედ წამოიყვანეს, 21.390 კაცამდე გადიდდა.

უნგრეთში ქალაქ სატუ-მარეს ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს საკვანძო რკინიგზის სადგური ვაშაროშნამენი და დიდი დასახლებული პუნქტები დიურე, ვარშაკი, ილკი, ნიირ-მადა, როხოდი, ფეიერტო.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

29 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 72 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 87 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ უჟგოროდის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ამ რაიონში მდებარეობენ მაგურისა და ბესკიდის მთაგრეხილები. მაღლობთა კალთებზე გერმანელებმა და უნგრელებმა სიმაგრეები ააგეს. ამ თავდაცვითი ზღუდის ყველა მისადგომი დანაღმულია, ხოლო გზები აფეთქებული და ჩახერგილია. შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე ადგილას გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და გადალახეს მაგურისა და ბესკიდის მთაგრეხილები. საბჭოთა ნაწილები მთის ხეობებში შევიდნენ და დაიკავეს მტრის მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტი ვილაგი. ბრძოლების მსვლელობაში გაჟლეტილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. სამ დღეში ნ შენაერთის ნაწილებმა გერმანელებს წაართვეს 20 ქვემეხი, 65 ნაღმსატყორცნი, 146 ტყვიამფრქვევი, 3.686 შაშხანა და ავტომატი, 4 საწყობი საომარ მასალიანად, 3 ორთქლმავალი, 50 ვაგონი და 1.000-ზე მეტი ცხენი.

* * *

უნგრეთში, ქალაქ სატუ-მარეს ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა დღეს საკვანძო რკინიგზის სადგურ ვაშაროშნამენის მისადგომებზე. მოწინააღმდეგე ცდილობდა შეენარჩუნებინა სადგური და არაერთგზის გადმოვიდა კონტრიერიშზე. საბჭოთა ნაწილებმა წარმატებითი შემოვლითი მანევრი მოახდინეს და ჰიტლერელები მდინარე ტისასთან მიიმწყვდიეს. ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებულ შეტაკებაში მტერი განადგურებული იქნა. ბევრი გერმანელი და უნგრელი მდინარეში დაიხრჩო. ჩვენმა ჯარებმა სხვადასხვა უბანზე ტყვედ წამოიყვანეს 500-მდე გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ გოლდაპის სამხრეთით, გერმანელთა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლებმა ახლო მანძილზე მოუშვეს გერმანელები და ძლიერი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა და სასწრაფოდ დაიხია უკან. მალე გერმანელები კვლავ გადმოვიდნენ იერიშზე, მაგრამ აგრეთვე უკუქცეულ იქნენ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის რამდენიმე ასეული გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 14 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი და 6 ჯავშანტრანსპორტიორი.

* * *

პრაგის (ვარშავის გარეუბანი) ჩრდილო-დასავლეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. ნ ნაწილის ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. გაჟლეტილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 6 ქვემეხი, 32 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის 2 საწყობი. პოლონეთის 1-ლი არმიის ქვეგანაყოფებმა, რომლებიც ამ რაიონში მოქმედებენ, ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

ამასწინათ იუწყებოდნენ, რომ გერმანიაში გამოცხადებულია 16-დან 60-მდე წლის ასაკის ყველა მამაკაცის უკლებლივი გაწვევა. ჰიტლერელები ცდილობენ მოფხიკონ რეზერვები იმისათვის, რომ ისინი ფრონტს მოაყარონ. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ უკვე გაცილებით ადრე გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებმა არმიაში გაიწვიეს ყველა, ვისი გაწვევაც კი შეიძლებოდა. უკანასკნელ დღეებში ჩვენმა მებრძოლებმა ტყვედ წამოიყვანეს გერმანელ ჯარისკაცთა — მოხუცთა და ინვალიდთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. გერმანელთა მე-6 საგანგებო რაზმის ტყვე ჯარისკაცი ფრანც გებეხი 60 წლისაა. ტყვემ განაცხადა: „მე გერმანიის არმიაში 1944 წლის მაისში გამიწვიეს. იმავე დროს ჩემთან ერთად მობილიზებულ იქნა 63 წლის მასწავლებელი ლუდვიგ კრიგერი".

გერმანელთა 388-ე სასწავლო დივიზიის 640-ე სასწავლო პოლკის, 1-ლი ასეულის ტყვე ეფრეიტორმა რიჰარდ ბეკერმა სთქვა: „ჩვენმა პოლკმა ამასწინათ მიიღო ახალი შევსება. მოსულთა შორის ბევრია ყოფილი მოხელე. ყველა ისინი გერმანიის სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობდნენ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე. ახლა ეს დაწესებულებანი ლიკვიდირებულია, როგორც არასაჭირო. მოხელეებს სურდათ გერმანიაში დაბრუნება, მაგრამ ისინი არმიაში გაიწვიეს. მათი უმეტესობა ხნიერი ხალხია, 45-დან 60 წლის ასაკამდე. ისინი ყველა ჩარიცხულია რიგითს ჯარისკაცებად ქვეითს ჯარში, თუმცა აშკარად უვარგისნი არიან სამხედრო სამსახურისთვის".

გერმანელთა 21-ე საზღვაო სათადარიგო ბატალიონის ტყვე უნტერ-ოფიცერმა ერნსტ პაულმა განაცხადა: „მე 58 წლისა ვარ. პირველ მსოფლიო ომში მატროსად ვმსახურობდი. 1944 წლის სექტემბერში უწყება გამომიგზავნეს არმიაში გაწვევის შესახებ. პირველად ვიფიქრე, შეცდომა მომხდარა-მეთქი, მაგრამ გასაწვევ პუნქტში ბევრი ნაცნობ მოხუცს შევხვდი. თუ ახალგაზრდა, კარგად გაწრთვნილმა ჯარისკაცებმა ვერ შესძლეს რუსების გამკლავება, რაღას უნდა მოელოდნენ ისეთებისაგან, როგორიც ჩვენ ვართ. გერმანიის მდგომარეობა უიმედოა. ჰიტლერის მიერ გამოცხადებული ახალი მობილიზაცია მომაგონებს წყალწაღებულს, რომელიც ხავსს ეჭიდება, რათა თავი გადაირჩინოს".

## მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი" გადაეცა საბჭოთა კავშირის მარშალს თ. ი. ტოლბუხინს და საბჭოთა კავშირის მარშალს კ. ა. მერეცკოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა 30 ოქტომბერს კრემლში მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი" გადასცა საბჭოთა კავშირის მარშალს თედორე ივანეს-ძე ტოლბუხინს და საბჭოთა კავშირის მარშალს კირილე ათანასეს-ძე მერეცკოვს.

## დ. მ. ლორთქიფანიძისა და კ. პ. ებანოიძის დაჯილდოება

გზატკეცილების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის საქმეში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებით და მედლებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის შინსახკომის გზატკეცილების მშენებლობისა და ექსპლოატაციის მუშაკთა ჯგუფი.

მათ შორის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან შემკეთებელი დურსუნ მამედის-ძე ლორთქიფანიძე და კონსტანტინე პარმენის-ძე ებანოიძე.

## ჰანს კრუუსი — ესტონეთის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

ტალინი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პროფესორი ჰანს კრუუსი დაინიშნა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

იმის გამო, რომ სამშაბათი, 1944 წ. 7 ნოემბერი და ოთხშაბათი, 8 ნოემბერი არასამუშაო დღეებია, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ, მშრომელთა მიერ გამოთქმული მრავალი სურვილის შესაბამისად, დაადგინა — ქონა, 1944 წ. 5 ნოემბერი ჩაითვალოს სამუშაო დღედ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროებითი ზავი ბულგარეთთან

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ტექსტს დროებითი ზავის შესახებ შეთანხმებისას, რომელიც დაიდო, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებსა და, მეორე მხრივ, ბულგარეთის მთავრობას შორის. შეთანხმებას მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების რწმუნებით ხელს აწერენ საბჭოთა მთავარსარდლობის წარმომადგენელი მარშალი თ. ი. ტოლბუხინი და ხმელთაშუა ზღვის რაიონში მოკავშირეთა უმაღლესი სარდლის წარმომადგენელი გენერალ-ლეიტენანტი ჯ. გამელი.

ბულგარეთი—რუმინეთსა და ფინეთს შემდეგ—უკვე მესამე ქვეყანაა, რომელთანაც მოკავშირე სახელმწიფოები ხელს აწერენ დროებით ზავს. ეს ფაქტი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებათა ახალი ილუსტრაციაა. გერმანიასთან ბულგარეთის კავშირის გაწყვეტამ და გერმანელებისათვის მის მიერ ომის გამოცხადებამ სერიოზული ლახვარი ჩასცა ჰიტლერულ გერმანიას. მოკავშირე სახელმწიფოებსა და ბულგარეთს შორის დროებითი ზავის ხელისმოწერა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს იმ სამხედრო და პოლიტიკური დამარცხების მთელ სიღრმეს, რაც გერმანიამ განიცადა.

ჰიტლერული გერმანია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა გაერთიანებულ ერთა წინააღმდეგ ომში ბულგარეთის მონაწილეობას. გერმანია ამას უკავშირებდა თავის სტრატეგიულ გეგმებს ბალკანეთში და შავი ზღვის რაიონში. რაც უფრო მეტ სიძნელეებს განიცდიდა გერმანია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მისი არმიების დამარცხებათა შედეგად, რაც უფრო რეალური ხდებოდა ბალკანეთში წითელი არმიის გამოჩენის პერსპექტივა, მით უფრო შეუპოვრად ამაგრებდნენ ჰიტლერელები ბულგარეთის პლაცდარმს, მით უფრო მაგრად ინასკვებოდა ბულგარეთის ვასალური დამოკიდებულების მარყუჟი.

ბულგარელი ხალხის საარსებო ინტერესები, მისი ისტორიული ტრადიციები მოითხოვდნენ, რომ გერმანელი ფაშისტი ავაზაკების მიერ გაჩაღებულ ახლანდელ ომში ბულგარეთს მტკიცედ და შეურიგებლად ებრძოლნა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ სსრ კავშირთან კავშირში, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთან კავშირში. მაგრამ ბულგარეთში ხელისუფლების სათავეში მყოფმა გერმანელ ფაშისტთა აგენტების დანაშაულებრივმა ხროვამ გერმანული იმპერიალიზმის იარაღად გადააქცია ბულგარეთი. ჰიტლერელმა მედროშეებმა ომი გამოუცხადეს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მათ ვერ გაბედეს აშკარად გამოეცხადებინათ ომი საბჭოთა კავშირისათვის, იმიტომ რომ იცოდნენ, თუ რა გრძნობით იყო გამსჭვალული ბულგარელი ხალხი უცხოელთა ბატონობისაგან ბულგარეთის განმათავისუფლებელი რუსეთისადმი. მაგრამ ნამდვილად ისინი ომს აწარმოებდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ. ჰიტლერის ბულგარელმა დაქირავებულმა აგენტებმა ბულგარეთის ბედი ჰიტლერული გერმანიის ბედს დაუკავშირეს და ნაციონალურ კატასტროფას უმზადებდნენ თავიანთ ქვეყანას.

წითელი არმიის გამარჯვებებმა ბულგარელ ხალხს გაუხსნეს ბულგარეთის გადარჩენის, ნაციონალური აღორძინების, მისი დამოუკიდებლობის აღდგენის გზა. ეს გზა მოითხოვდა გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებთან კავშირის გაბედულად და სავსებით გაწყვეტას, ბულგარელი კვისლინგების დამხობას და დასჯას, გაერთიანებულ ერთა მხარეზე ბულგარეთის გადასვლას.

1944 წლის საპირველმაისო ბრძანებაში ამხანაგი სტალინი სწერდა:

„რუმინეთს, უნგრეთს, ფინეთსა და ბულგარეთს კატასტროფის თავიდან აცილების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აქვთ: კავშირი გასწყვიტონ გერმანელებთან და გამოვიდნენ ომიდან. მაგრამ ძნელია იმის ვარაუდი, რომ ამ ქვეყნებს ახლანდელ მთავრობებს უნარი შესწევთ გასწყვიტონ კავშირი გერმანელებთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნების ხალხებს მოუხდებათ თვითონ აიღონ თავიანთ ხელში გერმანელთა უღლისაგან თავიანთი განთავისუფლების საქმე".

შემდგომმა ამბებმა ბრწყინვალედ დაადასტურა ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები.

ბულგარელ ხალხში მწიფდებოდა ნებისყოფა მისი ქვეყნის ბედის საკითხის სწორედ ასეთი გადაწყვეტისათვის. მაგრამ ბულგარეთის მმართველები, რომლებიც ბერლინს მიეყიდნენ, მიმართავდნენ „მანევრობისა" და შანტაჟის უაღრესად საზიზღარ და ცინიკურ ხერხებს, რათა განეგრძოთ ომი ჰიტლერული გერმანიის მხარეზე. საბჭოთა კავშირმა ახადა ნიღაბი დამნაშავეებს, ბოლო მოუღო მათ საზიზღარ თამაშს.

1944 წლის 5 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მთავრობამ თავის ნოტაში განუცხადა ბულგარეთის მთავრობას, რომ მას „შეუძლებლად აღარ მიაჩნია იქონიოს ურთიერთობა ბულგარეთთან, სწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას ბულგარეთთან და აცხადებს, რომ არა მარტო ბულგარეთი იმყოფება ომის მდგომარეობაში სსრ კავშირთან, რამდენადაც საქმით იგი წინათაც იმყოფებოდა ომის მდგომარეობაში სსრ კავშირთან, არამედ საბჭოთა კავშირიც ამიერიდან ომის მდგომარეობაში იქნება ბულგარეთთან".

წითელმა არმიამ გადალახა რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარი და ბრძოლა გაუმართა გერმანელ დამპყრობლებს ბულგარეთის ტერიტორიაზე. დაიწყო თავისი ლაშქრობა ბულგარეთის სრული განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა კავშირის გაბედულმა მოქმედებამ აამოძრავა ბულგარელი პატრიოტების ფართო წრეები. მათ გააჩაღეს „სამამულო ფრონტის" ძლიერი ანტიჰიტლერული მოძრაობა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სამამულო ფრონტის მთავრობა, რომელმაც გასწყვიტა ურთიერთობა გერმანიასთან და მის სატელიტებთან, ომი გამოუცხადა გერმანიას და შეუდგა თავისი ქვეყნის გაწმენდას გერმანელთა აგენტებისაგან, ფაშისტური და პროფაშისტური ორგანიზაციებისაგან. მან მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს თხოვნით დროებითი ზავის შესახებ და მიიღო ამ სახელმწიფოების მიერ წარდგენილი წინასწარი პირობა, ამასთან ვალდებულება იკისრა გაიყვანოს ბულგარეთის მთელი ჯარები და ყველა ბულგარელი მოხელე საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიიდან.

ბულგარეთის ახალმა მთავრობამ გადაჭრით გასწყვიტა კავშირი წარსულთან. მან საომარი მოქმედება დაიწყო გერმანელების წინააღმდეგ არა მარტო ბულგარეთის ტერიტორიაზე. ამ მთავრობამ წინადადება მისცა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სარდლობას მარშალ ტიტოს სახით—გამოიყენოს იუგოსლავიაში ბულგარელთა ჯარები გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამასთანავე ბულგარეთის ახლანდელ მთავრობას შეგნებული აქვს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრია ბულგარეთსა და ბულგარელ ხალხს ბულგარეთის წინანდელი მმართველების მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულობათათვის. როგორც დროებითი ზავის კონფერენციის პირველ სხდომაზე ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. სტაინოვმა განაცხადა, „მთელი ხალხის სინდისს ტვირთად აწევს ბულგარეთის მთავრობის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული".

დროებითი ზავის შესახებ შეთანხმება განსაზღვრავს ბულგარეთის ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია მის პასუხისმგებლობასთან გაერთიანებულ ერთა წინააღმდეგ ჰიტლერული გერმანიის მხარეზე ომში მონაწილეობისათვის. ამავე დროს შეთანხმება შეიცავს მთელ რიგ ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც ბულგარეთს ეკისრება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ბულგარეთმა წინასწარი პირობის შესაბამისად საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიიდან უნდა გაიყვანოს მთელი თავისი შეიარაღებული ძალები და ყველა თავისი მოხელე.

ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს „შეინახოს და განკარგულებაში გადასცეს ისეთი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები, რომლებიც შეიძლება განკუთვნილ იქნან სამსახურისათვის მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის საერთო ხელმძღვანელობით". იუგოსლავიის ტერიტორიაზე ახლა გერმანელი ავაზაკების წინააღმდეგ საბჭოთა არმიებისა და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან მხარდამხარ ბულგარეთის დივიზიებიც იბრძვიან.

ბულგარეთის არმიის დემობილიზაცია და მშვიდობიან მდგომარეობაზე მისი გადაყვანა უნდა მოხდეს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ზედამხედველობით „გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ".

შეთანხმების პირობებით ბულგარეთმა უნდა უზრუნველჰყოს საბჭოთა და სხვა მოკავშირეთა ჯარების თავისუფალი მიმოსვლა ბულგარეთის ტერიტორიაზე და მან ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიოს ამ ჯარებს.

შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ არ აღნიშნავს გაერთიანებული ერებისათვის, მათ შორის საბერძნეთისა და იუგოსლავიისათვის ბულგარეთის მიერ მიყენებული ზარალისა და ზიანის ასანაზღაურებელი რეპარაციების გარკვეულ თანხას. ეს თანხა შემდეგ იქნება დადგენილი. თავისთავად ცხადია, რომ განსაზღვრულ ვადებში უნდა დაუბრუნდეთ საბჭოთა კავშირს, აგრეთვე საბერძნეთს, იუგოსლავიასა და სხვა გაერთიანებულ ერებს გერმანიისა და ბულგარეთის მიერ ამ სახელმწიფოების ტერიტორიიდან გატანილი მთელი ფასეულობანი და მასალები. ბულგარეთი ვალდებულებას კისრულობს აგრეთვე დააბრუნოს გაერთიანებული ერებისა და მათი მოქალაქეების მთელი საკუთრება.

შეთანხმების მთელი რიგი პუნქტები იმისაკენ არის მიმართული, რომ განხორციელდეს ბულგარეთში ფაშისტური რეჟიმის ნაშთების სრული ლიკვიდაცია. ასეთია პუნქტი იმ პირთა განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ფაშისტმა მმართველებმა დააპატიმრეს გაერთიანებულ ერთა სასარგებლოდ მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ან მათი რასობრივი წარმოშობისა და რელიგიური რწმენისათვის, აგრეთვე ყველა პროჰიტლერული ან სხვა ფაშისტური ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესახებ.

ბულგარეთთან დროებითი ზავის დადება სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს — სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებული პოლიტიკის შედეგია. ბულგარეთში დროებითი ზავის მთელი პერიოდისათვის არსდება მოკავშირეთა საკონტროლო კომისია, რომელიც „მოაწესრიგებს და თვალყურს ადევნებს დროებითი ზავის პირობების შესრულებას მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მონაწილეობით".

მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი კმაყოფილებით შეხვდება ბულგარეთთან დროებითი ზავის დადებას. ეს აქტი ხელს შეუწყობს ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურების შემდგომს დაჩქარებას, აგრეთვე ბალკანეთში რთული პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებასა და გაჯანსაღებას. ბულგარეთთან დროებითი ზავი დიდმნიშვნელოვან და სასარგებლო სამსახურს გაუწევს მშვიდობიანობის საერთო საქმეს.

საბჭოთა ხალხი მით უფრო დიდი კმაყოფილებით მიესალმება ბულგარეთთან დროებითს ზავს, რომ ბულგარელმა ხალხმა ბოლო მოუღო დანაშაულებრივს ძმათ-მკვლელ პოლიტიკას, რომელსაც ბულგარეთის პროგერმანული მმართველები ეწეოდნენ სამი ათეული წლის მანძილზე სხვა სლავი ხალხების მიმართ, მათ შორის თავიანთი განმათავისუფლებლის — რუსი ხალხის მიმართაც.

თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ბულგარეთს დღეს სრული შესაძლებლობა აქვს თავისი ურთიერთობა დაამყაროს დიდ საბჭოთა კავშირთან მტკიცე, ურღვევი მეგობრობის საფუძველზე, რაც შეესაბამება არა მარტო ამ ორი ქვეყნის ხალხთა ისტორიულ ტრადიციებსა და ინტერესებს, არამედ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ინტერესებსაც.

**„პრავდის" 30 ოქტომბრის მოწინავე**

## საქდესის ცნობა

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო ავიაციის საკითხებზე მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც 1 ნოემბერს იხსნება ქ. ჩიკაგოში.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება. იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ეს ამ უკანასკნელ დღეებში გამოირკვა, კონფერენციაზე მიწვეული არიან აგრეთვე შვეიცარია, პორტუგალია და ესპანეთი, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს და რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულ პროფაშისტურ პოლიტიკას ეწევიან, საბჭოთა კავშირი მონაწილეობას არ მიიღებს ამ კონფერენციაში.

# შეთანხმება

## ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებსა და, მეორე მხრივ, ბულგარეთის მთავრობას შორის დროებითი ზავის შესახებ

ბულგარეთის მთავრობა იღებს დროებითი ზავის პირობებს, წარდგენილს საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ბულგარეთთან ომში მყოფ ყველა გაერთიანებულ ერთა სახელით.

შესაბამისად ამისა, ერთი მხრივ, საბჭოთა მთავარსარდლობის წარმომადგენელმა მარშალმა თ. ი. ტოლბუხინმა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში მოკავშირეთა უმაღლესი სარდლის წარმომადგენელმა გენერალ-ლეიტენანტმა ჯეიმს გამელმა, რომელთაც სათანადო რწმუნება აქვთ ბულგარეთთან ომში მყოფ ყველა გაერთიანებულ ერთა სახელით მოქმედი საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათაგან, და, მეორე მხრივ, ბულგარეთის მთავრობის წარმომადგენლებმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა პ. სტაინოვმა, უპორტფელო მინისტრმა ბ-ნმა დ. ტერპეშევმა, უპორტფელო მინისტრმა ბ-ნმა ნ. პეტკოვმა და ფინანსთა მინისტრმა ბ-ნმა პ. სტოიანოვმა, რომელთაც სათანადო რწმუნება აქვთ, ხელი მოაწერეს შემდეგს პირობებს:

1. a) შესწყვიტა რა საომარი მოქმედება სსრ კავშირის წინააღმდეგ 1944 წლის 9 სექტემბერს და გასწყვიტა რა ურთიერთობა გერმანიასთან 1944 წლის 6 სექტემბერს და უნგრეთთან 1944 წლის 26 სექტემბერს, ბულგარეთმა შესწყვიტა საომარი მოქმედება ყველა სხვა გაერთიანებულ ერთა წინააღმდეგ.

b) ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს განაიარაღოს ბულგარეთში მყოფი გერმანიის შეიარაღებული ძალები და გადასცეს ისინი როგორც სამხედრო ტყვეები.

ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს აგრეთვე მოახდინოს გერმანიისა და მისი სატელიტების მოქალაქეთა ინტერნირება.

c) ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს შეინახოს და განკარგულებაში გადასცეს ისეთი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები, რომლებიც შეიძლება განკუთვნილი იქნან სამსახურისათვის მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის საერთო ხელმძღვანელობით. ეს ძალები გამოყენებულ არ უნდა იქნან მოკავშირეთა ტერიტორიაზე, თუ არ იქნება დაინტერესებული მოკავშირე მთავრობის წინასწარი თანხმობა.

d) გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ბულგარეთის შეიარაღებული ძალები დემობილიზებულ და გადაყვანილ უნდა იქნან მშვიდობიან მდგომარეობაზე მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მეთვალყურეობით.

2. ბულგარეთის შეიარაღებული ძალები და მოხელეები ბულგარეთის მთავრობის მიერ 1944 წლის 11 ოქტომბერს მიღებული წინასწარი პირობის შესაბამისად, ევაკუირებულ უნდა იქნან საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიიდან ამ პირობით დადგენილ ვადაში; ბულგარეთის ხელისუფლებმა დაუყოვნებლივ უნდა იხმარონ ღონისძიებანი, რათა საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიებიდან გამოიყვანონ ბულგარელები, რომლებიც ბულგარეთის მოქალაქეები არიან 1941 წლის 1 იანვრისათვის, და გააუქმონ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დებულებანი, რომლებიც შეეხებიან საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიების ანექსიას ან ბულგარეთის ტერიტორიად გამოცხადებას.

3. ბულგარეთის მთავრობა უზრუნველჰყოფს, რომ საბჭოთა და სხვა მოკავშირე ჯარებს ჰქონდეთ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება ბულგარეთის ტერიტორიაზე ყოველი მიმართულებით, თუ ამას, მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის აზრით, მოითხოვს სამხედრო ვითარება, ამასთან ბულგარეთის მთავრობა ამ მიმოსვლას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თავისი სამიმოსვლო საშუალებებით და თავისი ხარჯით ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში.

4. ბულგარეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს მოკავშირე სახელმწიფოთა ყველა სამხედრო ტყვესა და ინტერნირებულს. შემდგომი ინსტრუქციების მიღებამდე ბულგარეთის მთავრობა თავისი ხარჯით უზრუნველჰყოფს მოკავშირე სახელმწიფოთა ყველა სამხედრო ტყვესა და ინტერნირებულს, საცხოვრებელი ადგილიდან წაყვანილ პირებსა და ლტოლვილებს, მათ შორის საბერძნეთისა და იუგოსლავიის მოქალაქეთაც, საკმარისი კვებით, ტანსაცმლით, სამედიცინო მომსახურებით და სანიტარიისა და ჰიგიენის საგნებით, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებით, რათა ყოველი ამ პირთაგანი თავის სახელმწიფოში დაბრუნდეს.

5. ბულგარეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს, მიუხედავად მოქალაქეობისა და ეროვნული კუთვნილებისა, ყველა იმ პირს, რომლებიც დაპატიმრებული არიან გაერთიანებულ ერთა სასარგებლო მოქმედებისათვის, ან გაერთიანებულ ერთა საქმისადმი თანაგრძნობისათვის, ან მათი რასობრივი წარმოშობისა და რელიგიური რწმენისათვის, აგრეთვე გააუქმებს ყოველგვარ დისკრიმინაციულ კანონმდებლობას და იქიდან გამომდინარე შეზღუდვებს.

6. ბულგარეთი ითანამშრომლებს იმ პირთა შეპყრობის საქმეში, რომელთაც სამხედრო დანაშაულობანი ბრალდებათ, და მათს გასამართლებაში.

7. ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს დაუყოვნებლივ დაშალოს ბულგარეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა პროჰიტლერული ან სხვა ფაშისტური პოლიტიკური, სამხედრო, გასამხედროებული, აგრეთვე სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან გაერთიანებული ერებისადმი მტრულ პროპაგანდას, და ამიერიდან არ დაუშვას ამგვარი ორგანიზაციების არსებობა.

8. ბულგარეთში პერიოდული და არაპერიოდული ლიტერატურის გამოცემა, შეტანა და გავრცელება, თეატრალურ სანახაობათა და კინოფილმების დადგმა, რადიოსადგურთა, ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაობა სწარმოებს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობასთან შეთანხმებით.

9. ბულგარეთის მთავრობა უკან აბრუნებს გაერთიანებულ ერთა და მათ მოქალაქეთა [illegible]

10. ბულგარეთის მთავრობა აღადგენს გაერთიანებულ ერთა და მათ მოქალაქეთა ყველა უფლებასა და ინტერესს ბულგარეთში.

11. ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მიერ მითითებულ ვადებში სავსებით დაუზიანებლად დაუბრუნოს საბჭოთა კავშირს, აგრეთვე საბერძნეთსა და იუგოსლავიას და სხვა გაერთიანებულ ერებს, მათი ტერიტორიებიდან ომის დროს გერმანიისა და ბულგარეთის მიერ გატანილი მთელი ფასეულობანი და მასალები, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებებს ან ცალკეულ მოქალაქეებს, სახელდობრ, ფაბრიკებისა და ქარხნების მოწყობილობა, ორთქლმავლები, რკინიგზის ვაგონები, ტრაქტორები, ავტომანქანები, ისტორიული ძეგლები, სამუზეუმო ფასეულობანი და ყოველგვარი სხვა ქონება.

12. ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს გადასცეს როგორც ნადავლი მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის განკარგულებაში ბულგარეთის ტერიტორიაზე არსებული მთელი სამხედრო ქონება გერმანიისა და მისი სატელიტებისა, მათ შორის ბულგარეთის წყლებში მყოფი გერმანიისა და მისი სატელიტების ფლოტის გემები.

13. ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას გერმანიისა და უნგრეთის ან მათ მოქალაქეთა და მათს ტერიტორიებზე, ანდა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა კუთვნილი ყოველგვარი ქონების (მათ შორის ფასეულობებისა და ვალუტის) გატანა ან ექსპროპრიაცია მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის უნებართვოდ. ბულგარეთის მთავრობა ამ ქონებას შეინახავს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

14. ბულგარეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს გადასცეს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას გაერთიანებული ერების კუთვნილი და ბულგარეთის ნავსადგურებში მყოფი ყველა გემი, განურჩევლად იმისა, თუ ვის განკარგულებაში არიან ეს გემები, რათა მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობამ გამოიყენოს ისინი გერმანიისა და უნგრეთის წინააღმდეგ ომის დროს მოკავშირეთა საერთო ინტერესებისათვის, ხოლო შემდეგ ეს გემები დაუბრუნდება მათს მესაკუთრეებს.

ბულგარეთის მთავრობას სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება ზემოჩამოთვლილი ქონების ყოველგვარი დაზიანებისა ან მოსპობისათვის იმ მომენტამდე, სანამ ეს ქონება მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას გადაეცემოდეს.

15. ბულგარეთის მთავრობამ რეგულარულად უნდა იხადოს ფულადი თანხები ბულგარული ვალუტით და გადასცეს საქონელი (საწვავი, საკვები პროდუქტები და სხვ.), სახსრები და გაუწიოს სამსახური, რაც შეიძლება დასჭირდეს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

16. ბულგარეთის სავაჭრო გემები, რომლებიც იმყოფებიან როგორც ბულგარეთის, ისე უცხოეთის წყლებში, იქნებიან მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის ოპერატიულ კონტროლ ქვეშ მოკავშირეთა საერთო ინტერესებისათვის გამოსაყენებლად.

17. ბულგარეთის მთავრობა უზრუნველჰყოფს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნას ბულგარეთის ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებანი, ძალსადგურები, საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოები და მოწყობილობანი, სათბობისა და სხვა მასალების საწყობები მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის მიერ დროებითი ზავის დროს გამოცემულ ინსტრუქციათა შესაბამისად.

18. ბულგარეთში დროებითი ზავის მთელი პერიოდისათვის დაარსებულ იქნება მოკავშირეთა საკონტროლო კომისია, რომელიც მოაწესრიგებს და თვალყურს ადევნებს დროებითი ზავის პირობების შესრულებას მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დროებითი ზავის ძალაში შესვლიდან გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დამთავრებამდე მოკავშირეთა საკონტროლო კომისია მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის საერთო ხელმძღვანელობაში იქნება.

19. ეს პირობები ძალაში შედის მათი ხელმოწერის მომენტიდან.

შედგენილია მოსკოვს ოთხ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ, ინგლისურ და ბულგარულ ენებზე. ამასთან რუსული და ინგლისური ტექსტები აუტენტურია.

1944 წლის 28 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა რწმუნებით:

**საბჭოთა მთავარსარდლობის წარმომადგენელი**

**თ. ტოლბუხინი**

**ხმელთაშუა ზღვის რაიონში მოკავშირეთა უმაღლესი სარდლის წარმომადგენელი**

**ჯ. გამელი**

ბულგარეთის მთავრობის რწმუნებით:

**პ. სტაინოვი**

**დ. ტერპეშევი**

**ნ. პეტკოვი**

**პ. სტოიანოვი**

# ოქმი

## ბულგარეთთან დროებითი ზავის შესახებ შეთანხმებისა

ბულგარეთთან დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისას შეთანხმების ხელისმომწერი მოკავშირეთა მთავრობები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მე-9 მუხლთან დაკავშირებით იგულისხმება, რომ ბულგარეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გადასცემს კვების ზოგიერთ პროდუქტებს საბერძნეთისა და იუგოსლავიის იმ ტერიტორიების მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც ბულგარეთის აგრესიის შედეგად დაზარალდნენ. თვითეული პროდუქტის რაოდენობა, რომელიც გადაცემულ უნდა იქნას, განსაზღვრულ იქნება სამ მთავრობას შორის შეთანხმებით და განხილულ იქნება, როგორც ბულგარეთის მიერ იმ ზარალისა და ზიანის ანაზღაურების ნაწილი, რომლებიც საბერძნეთმა და იუგოსლავიამ განიცადეს.

2. ტერმინი „სამხედრო ქონება", რომელიც ხმარებულია მე-12 მუხლში განხილულ იქნება, როგორც ისეთი, რომელიც შეიცავს მთელ იმ ქონებასა და საჭურველს, რაც ეკუთვნით, იყენებენ ან განკუთვნილია მოწინააღმდეგის სამხედრო ან ნახევრადსამხედრო შენაერთებისა ან მათი წევრების სარგებლობისათვის.

3. დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-14 მუხლის შესაბამისად ბულგარეთის მთავრობის მიერ დაბრუნებული მოკავშირეთა გემების მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის მიერ გამოყენება და მეპატრონეთათვის მათი დაბრუნების თარიღი განხილულ და მოწესრიგებულ იქნება საბჭოთა კავშირის მთავრობისა და მოკავშირეთა დაინტერესებული მთავრობების მიერ.

4. მე-15 მუხლის გამოყენებისას იგულისხმება, რომ მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობა გაითვალისწინებს ბულგარული ვალუტის, მომარაგების მიწოდებას, სამსახურის გაწევას და სხვ. აგრეთვე შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა იმ წარმომადგენლების საჭიროებისათვის, რომლებიც ბულგარეთში იმყოფებიან.

შედგენილია მოსკოვს სამ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ინგლისურ ენაზე, ამასთან ყველა რუსული და ინგლისური ტექსტი აუტენტურია.

1944 წლის 28 ოქტომბერი.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით**

**ა. ვიშინსკი**

**შეერთებული სამეფოს მთავრობის რწმუნებით**

**არჩიბალდ კლარკ კერი**

**ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის რწმუნებით**

**ჯორჯ ფ. კენონი**

### „სოვეტსკაია სიბირის" 25 წელი

29 ოქტომბერს ნოვოსიბირსკში გამოვიდა ციმბირის უძველესი გაზეთის — „სოვეტსკაია სიბირის" საიუბილეო ნომერი. გაზეთი დაარსდა 1919 წლის ოქტომბრის დღეებში ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ემელიან იაროსლავსკის ხელმძღვანელობით. (საქდესი).

### ჰიპოდრომების გახსნა

სსრ კავშირის მიწსახკომის მეცხენეობის მთავარი სამმართველო წელს ახლებს ჯიშიანი ცხენების გამოცდას მოსკოვის, პიატიგორსკისა და ტაშკენტის ჰიპოდრომებზე. ლენინგრადის, ხარკოვის, ოდესისა და ლვოვის ჰიპოდრომები მუშაობას 1945 წელს დაიწყებენ. (საქდესი).

### როსტოვის კეთილმოწყობა

140 ათასი მშრომელი ორი თვის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა როსტოვის კეთილმოწყობაში. მათი შრომის შედეგად ქალაქის გარეგანი სახე შესამჩნევად შეიცვალა. შეღებილი და წესრიგში მოყვანილია საცხოვრებელი სახლების ფასადები. გარეუბნებში ღორღითა და ქვებით დაგებულია 25 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი ტროტუარი. ბაღებსა და პარკებში დარგულია 50 ათასი ხე და ბუჩქი. კვირაობათა დროს შეკეთებულია სამი საავადმყოფო, ხუთი სკოლა, რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. (საქდესი).

### მწყობრში ჩადგა ოდესის ახალი ტელეგრაფი

ოდესაში მუშაობა დაიწყო ახალმა ტელეგრაფმა. აქამდე მოქმედებდა დროებითი ტელეგრაფი, რომელიც დამონტაჟებული იყო ქალაქის განთავისუფლების პირველ დღეებში.

ახალ ტელეგრაფში მთლიანად მოწყობილია ტექნიკური ნაწილი და მისი მკვებავი წყაროები. უზრუნველყოფილია მუდმივი, მყარი კავშირი მოსკოვსა, კიევსა, დნეპროპეტროვსკსა, ნიკოლაევსა, იზმაილსა და ოლქის ყველა რაიონთან. (საქდესი).

### დ. შოსტაკოვიჩის ახალი ნაწარმოებნი

სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა დ. შოსტაკოვიჩმა დაამთავრა ახალი ტრიო და მეორე კვარტეტი. ამ ნაწარმოებთ პირველად შეასრულებენ ლენინგრადში შოსტაკოვიჩის საავტორო კონცერტზე.

მოსკოვში ტრიოსა და კვარტეტს შეასრულებენ ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის მცირე დარბაზში, შემსრულებლად მოწვეულია ბეთჰოვენის სახელობის კვარტეტი. (საქდესი).

### ლენინგრადის გათბობა

ამუშავდა ლენინგრადის სრულიად აღდგენილი სათბობი ქსელი. მისი საერთო სიგრძე 120 კილომეტრს უდრის. (საქდესი).

# პარტიული ცხოვრება

## სარეწების კომუნისტები ნავთობისთვის ბრძოლაში

[illegible] მძლევაიან თავდადებული შრომის პირად მაგალითს, უზრუნველჰყოფენ საკუთარ უბანზე ახალ საწარმოო აღმავლობას, ეხმარებიან ჩამორჩენილებს, ნერგავენ რაციონალურ წინადადებებს და ახლებურად აწყობენ მუშაობას.

მეორე უბანი, რომელსაც პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ალიაბაზ ხალიკოვი ხელმძღვანელობს, ერთი მოწინავეთაგანია სარეწში. ჭაბურღილების ექსპლოატაციის ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვის შედეგად აქ თვიდან თვემდე გადაჭარბებით სრულდება ნავთობის ამოღების გეგმები. ივლისში უბანმა გეგმის გადამეტებით მისცა სამშობლოს 150 ტონა ნავთობი, აგვისტოში — 200 ტონამდე, ხოლო სექტემბერში კიდევ უკეთ იმუშავა და დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ჭაბურღილების ექსპლოატაციაში მუშები დიდ ინიციატივასა და გამომგონებლობას იჩენენ. 127-ე ჭაბურღილმა, რომელიც დღე-ღამეში 4,5 ტონა ნავთობს იძლეოდა, უცებ მკვეთრად შეამცირა გამოსავალი და 13 სექტემბერს 3,1 ტონა ნავთობი ამოიღო. ახალგაზრდა სპეციალისტმა კომუნისტმა ამხ. ხალიკოვმა სახელდახელოდ მოიწვია უბნის მუშათა საწარმოო თათბირი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად ყველა ერთ დასკვნამდე მივიდა: ჭაბურღილში ნავთობის დებიტი არ შემცირებულა და სადღეღამისო ამოღების შემცირება გამოწვეულია ამომქაჩავი აპარატურის გაცვეთით. მიიღეს გადაწყვეტილება — დაჩქარებული წესით შეეკეთებინათ სიღრმის ტუმბო. გადაწყვეტილების მიღება და საქმის დაწყება ერთი იყო. 13 სექტემბერს ამხ. ხალიკოვის მეთაურობით მთელ დღეს იმუშავეს მიწისქვეშა სამუშაოთა ოპერატორებმა და ოსტატებმა და გვიან ღამით რემონტი დაამთავრეს. 14 სექტემბერს რიტმულად მოძრაობდა სიღრმის ტუმბო 2,5 დიუმ დიამეტრის ჭაში და უხვად ამოჰქონდა ნავთობი; ჭაბურღილმა კვლავინდებურად 4,5 ტონა ნავთობის ამოღება იწყო. უბნის უფროსს შტატით მიწისქვეშა რემონტის დარგში ერთი მოადგილე ეკუთვნის. ამხ. ხალიკოვმა უარი განაცხადა მოადგილეზე და თვითონ წარმატებით ხელმძღვანელობს ამ საქმეს. ჭაბურღილების რემონტის გეგმა თვიდან თვემდე გადაჭარბებით სრულდება. კომუნისტ ხელმძღვანელს ჰბაძავენ და დამატებითს ფუნქციებს ითავსებენ უბნის მოწინავე ადამიანები. ოპერატორის მოადგილემ ამხ. ე. ბაშკოვამ არაერთგზის შეაკეთა ძრავის ღვედები, ოპერატორი ამხ. ვ. რაბოვი ყოველთვის საათნახევრით ადრე ცხადდება სამუშაოზე, ამოწმებს აპარატურას, წვრილმან რამეს სახელდახელოდ შეაკეთებს ხოლმე, გაათბობს ძრავებს და მთელი აგრეგატი ზუსტად დაწესებულ საათში იწყებს მუშაობას.

სარეწების პარტიული ორგანიზაცია აქტიურად ერევა საწარმოო საქმიანობაშიც, ღრმად სწვდება ეკონომიკის საკითხებს და რაზმავს მუშებს დავალებათა მთლიანად შესრულებისათვის. პარტიულ კრებებზე ისმენენ ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების მოხსენებებს, სახავენ ღონისძიებებს და შემდეგ უზრუნველჰყოფენ მათს განხორციელებას. პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა სარეწების უფროსის ამხ. ვ. უთალიშვილის და უბნების უფროსების ამხ. ა. ხალიკოვის და ბ. ოზაშვილის მოხსენებები. კრებაზე ცხოველი კამათი გამართა. გამოირკვა, რომ მესამე უბანზე 9 ჭაბურღილი ვერ ასრულებს გეგმებს, რადგან [illegible] სტატები და უფროსები ღრმად არ სწვდებიან საწარმოო საკითხებს, არ ეწყობა საწარმოო თათბირები და სხვ.

პარტიულმა კრებამ პრაქტიკული ღონისძიებები გამოიმუშავა. კომუნისტებმა ბეჯითად მოჰკიდეს ხელი ამ ღონისძიებათა განხორციელებას. მოკლე ხანში მეორე უბანზე 4 ჭაბურღილი ერთი ამძრავი ღვედით შეაუღლეს, რის შედეგადაც განთავისუფლებულ და სხვა სამუშაოზე გამოყენებულ იქნა 3 ოსტატი და 2 კაცი ჭაბურღილის მომსახურე პერსონალიდან. აგრეთვე შეუღლებულ იქნა № 155 და № 47 ჭაბურღილები. კომუნისტმა, სამთო ინჟინერმა ამხ. თაყაიშვილმა გაიანგარიშა № 103 ჭაბურღილის მარილის მჟავათი დამუშავება და კიდევაც დაამთავრა ეს საქმე. კომუნისტების წინადადებით შედგენილ იქნა ნავთობის ხარჯვის ნორმები და გაიშალა შეჯიბრება მომჭირნეობისათვის. ამის შედეგად ახლა 50 ტონის ნაცვლად ყოველთვიურად სარეწებზე საკუთარი საჭიროებისათვის სულ დიდი 3-4 ტონა ნავთი იხარჯება. მტკიცედ დაინერგა პრაქტიკაში უბნებისათვის ნავთის ამოღების გეგმების თვის დაწყებამდე 5 დღით ადრე მიცემა, რაც უბნებს საშუალებას აძლევს საგეგმო დავალება დროზე განიხილონ საწარმოო თათბირზე და ყოველ მუშას გააცნონ. მოგვარებულია ამოღებული ნავთის ზუსტი აღრიცხვაც.

არის მოუწესრიგებელი საკითხებიც. სარეწებზე დღემდე ვერ მოაწყეს მუშების ტექნიკური სწავლება. აქ აგვისტოში ჩამოაყალიბეს ერთი ტექნიკური წრე. წრის მეცადინეობა ხშირად იშლება. მნიშვნელოვნად ჩამორჩება ძველი ჭაბურღილების სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები, რის შედეგადაც შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ ცალკე ჭაბურღილების მიერ ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების პირობებში სარეწი მთლიანად ვერ ასრულებს ნავთის ამოღების გეგმას. დაბალია ახალი ჭაბურღილების ბურღვის ტემპები, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ავარიებს, მაღალია ტონა ნავთის თვითღირებულება, ჭიანურდება მუშათა საცხოვრებელი ბინების რემონტი და სხვ. ამ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრა სარეწების კომუნისტთა ღირსების საქმეა.

დიდი ოქტომბრის წინადღეებში სარეწებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ნავთის ამოღების გადიდებისა, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისა და ახალ ჭაბურღილთა ექსპლოატაციის დაჩქარებისათვის.

საოქტომბრო შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ პირველი და მეორე უბნები, რომლებსაც კომუნისტები ა. ხალიკოვი და თ. პილიავსკი ხელმძღვანელობენ. განსაკუთრებული თავდადებით მუშაობს ოსტატი, ყოფილი ფრონტელი ამხ. ქირია, რომელიც ნორმის გადამეტებით დღენიადაგ იძლევა 600-700 კილოგრამ ნავთობს; მის ჭაბურღილებს სექტემბერში არც ერთი ავარია არ ჰქონიათ. ასევე წარმატებით ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ოსტატის თანაშემწე ი. კორნეევი, მექანიკოსი ი. ნიკონოვი, ზეინკალი, ა. ბოროვკოვი, მემონტაჟე ვ. მაკაგონოვი და მრავალი სხვ.

სარეწთა კომუნისტები თავდადებით მუშაობენ, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს შეხვდნენ ახალი საწარმოო მიღწევებით.

ა. სოხაძე

## საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის პლენუმი

30 ოქტომბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: ანგარიში რაიკომის მუშაობის შესახებ და ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. გომელაურმა.

— საანგარიშო პერიოდში, — ამბობს ამხ. გომელაური, — რაიონის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო განმტკიცდა. ათი თვის განმავლობაში პარტიაში მიღებულია 692 კაცი. რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ არის გაშლილი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ასობით ინტელიგენტი და საწარმოთა მოწინავე ადამიანი გულმოდგინედ სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს. აქტივის დასახმარებლად რაიკომმა მოაწყო 615 ლექცია, კონსულტაცია და მოხსენება, რომლებსაც 4.500-მდე კაცი დაესწრო.

რაიკომმა თვალსაჩინო მუშაობა გასწია ახალი კადრების დაწინაურებისა და აღზრდისათვის. საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია 330 ამხანაგი, მათ შორის 83 ქალი.

მომხსენებელი შეჩერდა რაიონში პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს ახალგაზრდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, არ აბამს მათ აქტიურ პარტიულ მუშაობაში, რის გამოც რაიონში საკმაოდ დიდია სტაჟგადაცილებული კანდიდატების რიცხვი. ზოგან შეასუსტეს აგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა. ეს პირველ რიგში ეხება საბინაო მეურნეობის სამმართველოს, სასტუმრო „თბილისის" და თბილვაჭრობის სამკერვალო სახელოსნოს პარტიულ ორგანიზაციებს. პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე რომ სახელმწიფო კონსერვატორიაში, საბავშვო საავადმყოფოში, საქართველოს მუზეუმსა და მეთერთმეტე სახელოსნო სასწავლებელში სუსტად არის დაყენებული თავდაცვითი მუშაობა.

ამხ. გომელაურის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: წიხვაძემ, ძიძიგურმა, ლებანიძემ, შიუკაშვილმა, ალექსანდროვმა, გიორგობიანმა და ცაგარეიშვილმა.

პლენუმმა რაიკომის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. გომელაური და რაიკომის მეორე მდივანი ამხ. შ. გვასალია და გამოიყვანა ისინი ბიუროს შემადგენლობიდან.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ა. გიგოშვილი, ხოლო მეორე მდივნად — ამხ. ა. შენგელია და შეიყვანა ისინი რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

## სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა
### სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივისათვის

გუშინ, 30 ოქტომბერს, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას გადაეცა სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. ეს დროშა ქარხნის კოლექტივს სექტემბერში მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის მიენიჭა.

მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელიც მოწვეულ იქნა დროშის მიღების გამო, გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ლოლაძემ. ქარხნის კოლექტივს დროშა გადასცა ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსმა მოძრაობის პირველი რანგის გენერალ-დირექტორმა ამხ. გ. კიკნაძემ. დროშა მიიღო ქარხნის უფროსმა, წევის დარგის მესამე რანგის გენერალ-დირექტორმა ამხ. ლ. ჰიჭინაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობის ტემპებს და უზრუნველჰყოფს ამ საამაყო ჯილდოს — გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის შემდგომში შენარჩუნებას.

ორთქლმავალთა ამწყობი მუშების სახელით კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ამწყობი საამქროს პირველი საკომპლექსო ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. გ. ზანგურაშვილმა, ვაგონშემკეთებელ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა სამგზავრო-სავაგონო საამქროს უფროსმა ამხ. ი. რამველიშვილმა.

კრებაზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები კისრულობენ მთელ რიგ ახალ საწარმოო ვალდებულებებს ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ მოცემულ ყველა მითითებათა უახლოეს დროში განალდების უზრუნველსაყოფად.



[illegible]

## შეჯიბრების ძალა

გორი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ ზერტის, ახალშენის, ხელთუბნის, დიდი გარეჯვრის, ხიდისთავის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. სოფელ ზერტის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ორჯონიკიძე) საშემოდგომო თესვა დაწესებულ ვადაზე 10 დღით ადრე დაამთავრა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 375 ჰექტარისა დათესილია 378 ჰექტარი.

კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად საშემოდგომო თესვა დაწესებულ ვადაზე 4 დღით ადრე დაამთავრა ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ფ. ანასტასოვი). დათესილია 185 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი. იმ ბრიგადამ, რომელსაც [illegible] დაზე ადრე და მაღალხარისხოვნად ჩაატარა. კოლმეურნეობა წელს სიმინდისა და ქარხლის მაღალ მოსავალს იღებს. მეორე ბრიგადამ ფრწყავი ნაკვეთის ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო ქარხალს 300-400 ცენტნერს მიიღებს. კოლმეურნეები ძალღონის დაუზოგავად მუშაობენ, რათა ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდნენ ოქტომბრის დიდ დღესასწაულს.

კარგად მუშაობენ ახალშენის (თავმჯდომარე ბ. გუცაშვილი) კოლმეურნეობის წევრები. იქ წარმატებით დაამთავრეს თესვა და შაქრის ქარხლის ამოღება-ჩაბარება. ქარხლის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 350 ცენტნერს აღწევს.

შ. ჩუბინიძე

## ნატანებლებმა პირობა შეასრულეს

მახარაძე („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). სოფელ ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ჯაბუა) საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა 7 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეესრულებინა წლიური დავალებანი. ნატანებელმა კოლმეურნეებმა სიტყვა საქმით აქციეს.

მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 770 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. წლიური გეგმები გადამეტებით შეასრულეს ბრიგადებმა, რომლებსაც ი. ხურციძე, დ. მახარაძე, გ. ჯაბუა, ს. კონტრიძე, ბ. ფერაძე, ა. მიმინოშვილი და ალ. ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობენ. სტახანოველმა შ. კვაჭანტირაძემ სეზონში 9 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა. ის ზოგიერთ დღეს 1.000 კილოგრამს ჰკრეფდა.

მზრუნველობით არის მოვლილი ციტრუსების ნარგავები და ნერგები. წელს სახელმწიფოს ჩააბარებენ 10 მილიონზე მეტ მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფს. ციტრუსებს კარგად უვლიან ბ. ფერაძისა და გ. ჯუჯაბიძის ბრიგადები. მალე კრეფა დაიწყება. დიდი ყურადღება ექცევა ტუნგოს პლანტაციების მოვლას. კოლმეურნეები წელს სახელმწიფოს 75 ტონაზე მეტ ტუნგოს ნაყოფს ჩააბარებენ.

გეგმით გათვალისწინებული 340 ჰექტარის ნაცვლად წელს კოლმეურნეებმა 358 ჰექტარი მარტო სიმინდი დასთესეს, სამჯერ გათოხნეს და ბარაქიანი მოსავალიც მოიყვანეს. განსაკუთრებით უხვი მოსავალია მიღებული თავდაცვის ფონდისათვის დათესილ 12 ჰექტარზე.

კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმები. გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეებს აქედან გაუგზავნეს 13 ხარი, 6 დეკეული, ძროხა და ბუღა. მთლიანად შენარჩუნებულია წელს მიღებული 76 ხბო. მწველელი ვ. ღლონტი დღიურ ნორმას ორმაგად და ხშირად სამმაგად ასრულებს.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებს კოლმეურნეები უპასუხებენ ახალი შრომითი აღმავლობით, ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარებით. 3 ოჯახს აუშენეს ახალი სახლი, 12 ოჯახს შეუკეთეს ბინები. ფრონტელთა ოჯახებს მიუტანეს 400 კუბური მეტრი შეშა, მისცეს 26 ტონა მარცვლეული.

ტ. თოდრაძე

## პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზად არ არიან

წულუკიძე („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები დადგა. სოფელ კინჩხის კოლმეურნეობა „დამკვრელში" (თავმჯდომარე ამხ. გელენიძე) თავის დროზე მიღის და პირუტყვის ბინებთან მიზიდეს. ფერმები უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, შერჩეულია პირუტყვის საუკეთესო მომვლელები. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ივანდიდის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. მარჯანიშვილი). აქ მალე დამთავრდება 50 სული პირუტყვისათვის ახალი ბინის მშენებლობა. მიმდინარეობს სადგომების დათბუნვა და დეზინფექცია.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან სოფელ გოჩა ჯიხაიშის კოლმეურნეობა „ლენინის გზითში" (თავმჯდომარე ი. აბზიანიძე). იქ ბინა აქამდე ნიშნულია 40 სული პირუტყვისათვის, მაგრამ არც ახლის აშენება დაუწყიათ და არც ძველის შეკეთება. კოლმეურნეობაში თივის აღება ახლაც დაუმთავრებელია. 16 ჰექტარის ნაცვლად თივა 4 ჰექტარზე ჩაატარეს და მოთიბულიც არ არის დაზვინული. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ამავე სოფლის კოლმეურნეობა „სტალინის გზითში" (თავმჯდომარე რ. ჩომახიძე). 16 სული პირუტყვი აქ ძალზე დასუსტებულია.

წულუკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. პანტურიშვილი) გეგმით გათვალისწინებული 900 ცენტნერი უხეში საკვების ნაცვლად მხოლოდ 120 ცენტნერი დაამზადეს. აქ მსხვილფეხა რქიანი საქონლის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებული აქვთ 74,2 პროცენტით.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის ცუდად ემზადება ჩაის საბჭოთა მეურნეობა. უხეში საკვები დამზადებული აქვს მხოლოდ 30 ტონა, მაშინ როცა საჭიროა 154 ტონა. შესყიდული 20 ტონა თივა დღემდის გამოუზიდავია. ბინები დიდ შეკეთებას მოითხოვენ. მეურნეობის პირველ უბანში პირუტყვის მომვლელებიც არა ჰყავთ. ვეტექიმი ი. ნიკიტენკო უდარდელობას იჩენს პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმისადმი. ამიტომაა, რომ ძროხების წველადობა დაბალია. თვითეული ძროხა დღიურად იწველის საშუალოდ 1-2 ლიტრამდე.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ი. ჯაფარიძე

## საკვები მიუზიდავია საზამთრო ბინებთან

ამჟამად მთავარია პირუტყვის გამოზამთრებისათვის სანიმუშოდ მომზადება. ამ მხრივ კარგად მუშაობენ საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთის ვოროშილოვის, მოძვის ბერიას, სავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და კოლმეურნეობა „პირველი მაისი".

სუსტად მუშაობს სოფელ ცხომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. გურული). აქ 115-ის ნაცვლად ბინა აქვთ მხოლოდ 68 სული პირუტყვისათვის. არსებული ბინებიც შეკეთებას საჭიროებს. მუშა-საქონელი მოუვლელობით დასუსტებულია. საკმარო რაოდენობით არა აქვთ საკვები, რაც არის, საზამთრო ბინებამდე ისიც არ მიუზიდავთ.

სოფელ ღორის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს მოუვლელობით დაიხოცა 17 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 100 თხა და 10 ღორი. მაგრამ ზამთრისათვის არც ახლა ემზადებიან კარგად. ბინების შეკეთებაზე ნაკლებად ზრუნავენ. ხშირად ცვლიან მწყემსებს, რაც აფერხებს პირუტყვის მოვლა-პატრონობას.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის არასაკმაოდ მუშაობენ აგრეთვე სოფელ სირხის მახარაძისა და მოხვის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში.

შ. ნოზაძე

## ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების გავრცელება საქართველოში

30 ოქტომბრისათვის საქართველოში გავრცელებული იყო 150,978,000 მანეთის სალატარიო ბილეთები, ეს თანხა 47,768,000 მანეთით აღემატება შარშანდელი ლატარიის ბილეთების გავრცელების თანხას.

ნაღდ ფულად შემოტანილია 113,021,000 მანეთი. ქალაქად გავრცელებულია 31,259,000 მანეთის ბილეთები და ნაღდად შემოტანილია 4,734,000 მანეთი, ხოლო სოფლად გავრცელებულია 119,719,000 მანეთის ბილეთები და ნაღდად შემოტანილია 108,287,000 მანეთი.

* * *

### გორი

30 ოქტომბრისათვის გავრცელებული იყო 4,540,000 მანეთის ბილეთები, აქედან სახელმწიფო ბანკში ნაღდ ფულად შეტანილია 4,163,000 მანეთი; ქარელის სასოფლო სამეურნეო კოლმეურნეობების წევრებმა ხელი მოაწერეს და ნაღდ ფულზე შეიძინეს 366,000 მანეთის ბილეთები.

### ტყიბული

ტყიბულის რაიონში 30 ოქტომბრისათვის გავრცელებული იყო 2,060,000 მანეთის ბილეთები. სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია 1,350,000 მანეთის ბილეთები, აქედან ნაღდად შემოსულია 1,320,000 მანეთი.

დ. ქათამაძე

### კასპი

26 ოქტომბრისათვის რაიონში ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 2,048,000 მანეთს. სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია 1,959,000 მანეთის ბილეთები, სულ სახელმწიფო ბანკში ნაღდად შეტანილია 1,964,000 მანეთი.

ვ. ბუზალაძე

## როგორ ვმუშაობთ სანიმუშო დისციპლინისათვის

მოსწავლეები საკლასო ოთახში შეკრებილან და გაცხოველებული კამათი გაუმართავთ. „რას ეწოდება ამხანაგობა" — ეს კამათის თემა. მოსწავლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

— ჩემის აზრით, ამხანაგური გრძნობა ყოველგვარ წვრილმანზე მაღლა უნდა იდგეს. ამ გრძნობისათვის მსხვერპლის მიტანაც უნდა შეგეძლოს. საჭიროების დროს ამხანაგისათვის თავიც უნდა გასწირო, — სთქვა ოთარმა.

— მეგობრობა უაღრესად კეთილშობილური გრძნობაა. მეგობრები ჭირში და ლხინში განუყრელნი უნდა იყვნენ. მაგრამ ეს ურთიერთობა სხვანაირ მსხვერპლსაც მოითხოვს. მეგობრობაში მოჩვენებითს, ყალბ ერთგულებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ავიღოთ ასეთი შემთხვევა: ორ ამხანაგს შორის ერთმა დანაშაული ჩაიდინა. სწორი იქნება თუ არა, რომ ეს დანაშაული მეორემ დაფაროს და არავითარი ზომები არ მიიღოს მის აღსაკვეთად. ჩემის აზრით, არ იქნება სწორი, ამით ხომ ამხანაგს ცუდ გზაზე დავაყენებთ, — ამბობს ფრიადოსანი ბ. ნინოშვილი.

ნინოშვილის აზრს ზოგი არ ეთანხმება: ამხანაგის გათქმა, თუნდაც დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ღალატია და მეგობრობის გრძნობას ჩრდილს აყენებსო.

კამათი საკმაოდ გამწვავებული იყო, როცა საკლასო ოთახის კარი შევაღე. ყმაწვილები ფეხზე წამოდგნენ.

საუბრის თემამ დამაინტერესა.

— პატივცემულო დირექტორო, — სთქვა ერთმა, — მე მგონია, რომ ნინოშვილი არ არის მართალი. როგორ? ამხანაგი გავცე? ეს რა პატიოსნებაა?

დიდხანს ვსაუბრობდი ბავშვებთან. ჩემმა საუბარმა ისინი დააფიქრა. ეტყობა, ზოგიერთი არ მოელოდა, რომ მე ნინოშვილს მხარს დავუჭერდი.

— გახსოვდეთ, ყმაწვილებო, სიმართლე და გულწრფელობა ადამიანის ყველაზე დიდი სამკაულია. პირმოთნეობა და სიყალბე უცხოა საბჭოთა ახალგაზრდისათვის. თუ თქვენ დამნაშავე ამხანაგს ხელს დააფარებთ, ამით მას ცუდ სამსახურს გაუწევთ. ეცადეთ დაუმტკიცოთ, რომ იგი შეცდა და ასეთი რამ აღარ გაიმეოროს. თუ არ ძალგიძთ მისი გამოსწორება, უფროსები დაიხმარეთ.

გავიდა რამდენიმე დღე. კლასში რომელიღაც მოსწავლემ სკამი დააზიანა.

— ვინ ჩაიდინა ეს? — კითხულობს მორიგე მასწავლებელი. მოსწავლეებმა თითქოს პირი შეჰკრეს და დამნაშავეს არ ასახელებს. ყოველგვარი ცდა ამაო შეიქნა. მასწავლებელმა დამნაშავე ვერ აღმოაჩინა.

ნუთუ ჩვენმა საუბარმა უნაყოფოდ ჩაიარა? — გავიფიქრე და კლასისაკენ გავეშურე.

— ყმაწვილებო, ხომ გახსოვთ ჩვენი პირობა: ვიყოთ ყოველთვის გულწრფელი და მართალი. ვინ გასტეხა სკამი?

კლასში სიჩუმე. მოსწავლეებს თვალები დაბლა დაუხრიათ.

— პასუხს ველოდები!

მოსწავლეებმა ნ. ლ-ძეს გადახედეს. ნელნელა წამოდგა ნ. ლ-ძე. მას სირცხვილისაგან ლოყები აწითლებოდა.

— პატივცემულო დირექტორო, მე გავტეხე სკამი! — სთქვა მან.

სიხარული ვიგრძენი. კლასი დავტოვე, მაგრამ მოსწავლეებისაგან დამატებით განმარტებას მაინც ველოდი. არც შევმცდარვარ. მალე ჩემთან გამოცხადდა კლასის ორგანიზატორი.

— პატივცემულო დირექტორო, ახლა გვაპატიე, კლასის სახელით პირობას გაძლევთ, ასეთი რამ ჩვენთან აღარ განმეორდება. სკამს კი ჩვენ შევაკეთებთ.

მე სავსებით კმაყოფილი ვიყავი: ცხადია, აქ სკამის საკითხი როდი იყო მთავარი. მთავარი ის იყო, რომ მსგავსი ფაქტებისადმი სწორი დამოკიდებულების ჩვევის დანერგვას შევუწყვეთ ხელი.

ამჟამად ეს კლასი სწავლისა და შეგნებული დისციპლინის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა.

სკოლის პედკოლექტივი თავის ყოველდღიურ მუშაობაში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვას, როგორც წარმატებული სწავლის ძირითად პირობას. კლასების ხელმძღვანელთა სასწავლო-სააღმზრდელო გეგმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ყოფაქცევის წესებიდან გამომდინარე ცალკე საკითხებზე საუბრების ჩატარება.

7-ა კლასის ხელმძღვანელმა საუბარი ჩაატარა თემაზე — „გავუფრთხილდეთ სასწავლო ნივთებს და სკოლის ქონებას". საომარი ვითარების სიძნელეზეც ილაპარაკა მასწავლებელმა. კარგად მოფიქრებულმა საუბარმა სასურველი შედეგი მოგვცა. ამ კლასის მოსწავლეები შესანიშნავად უვლიან სასწავლო ნივთებს, უფრთხილდებიან სკოლის ქონებას. ასეთი ხასიათის საუბრებს ყველა კლასის ხელმძღვანელები აწყობენ.

მომთხოვნელობა დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი პირობაა. თუ მოსწავლეს დავალება მიეცი და შემდეგ მისი შესრულება არ შეამოწმე, ამით მას უდისციპლინობას შეაჩვევ. გარდა ამისა, საშინაო დავალება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მომენტიც არის. მასწავლებლები საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. საშინაო დავალების [illegible] ვენ მოსწავლეს, [illegible] დასწავლას. ეს აძლიერებს მოსწავლის პასუხისმგებლობას, აჩვევს მას სიზუსტეს და წესრიგს მეცადინეობაში.

ბავშვის აქტიური ბუნება ინერტულობას ვერ ეგუება. ბავშვი ყოველთვის რაიმეს უნდა აკეთებდეს: ან მუშაობდეს, ან მეცადინეობდეს, ან ცელქობდეს. ცხადია, მისთვის ისევე საჭიროა გართობა, როგორც ჰაერი და წყალი. მაგრამ აქ ისახება უდისციპლინობის საფრთხეც. ყველაფერი ის, რასაც ბავშვი აკეთებს, მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს.

მასწავლებელი და მოსწავლე, ცხადია, ყოველთვის ერთად არ არიან. ჩვენ ვცდილობთ, რომ მოსწავლე მაშინაც კონტროლქვეშ გვყოლიოთ, როცა ჩვენთან არ არის, დრო ყოველთვის რაციონალურად ჰქონდეს გამოყენებული. კლასის ხელმძღვანელები ხშირად დადიან მოსწავლეთა ბინებში. განსაკუთრებით იმ მოსწავლეებთან, რომლებიც დისციპლინის დარღვევაში არიან შენიშნულნი. საშინაო დავალებათა შესრულების შემოწმებაც ხომ მოსწავლეთა კლასგარეშე ქცევაზე კონტროლის ერთი სახეა: რაკი მოსწავლემ საშინაო დავალება შეასრულა, ჩანს, მას დრო უქმად არ დაუკარგავს. ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციას. ცნობილია, რომ კლასგარეშე წიგნების კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეთა კულტურისა და მეტყველების განვითარებას.

ამას წინათ პედაგოგიურ თათბირზე დამსახურებულმა მასწავლებელმა ნ. ნიჟარაძემ წაიკითხა მოხსენება „მეტყველებისა და წერითი კულტურის ზოგიერთ საკითხზე". თათბირზე გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა მოსწავლეთა ასაკის მიხედვით კლასგარეშე საკითხავი წიგნების სიის შედგენა.

მოსწავლეებს შერჩევით ეძლევათ ლიტერატურა. საგნის მასწავლებლები განსაზღვრული დროის მონაკვეთში ამოწმებენ შედეგს: წაიკითხა თუ არა წიგნი მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა წაკითხულიდან.

მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების დანერგვისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში ჩვენი მარჯვენა ხელია კომკავშირის ორგანიზაცია.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა სკოლაში კომკავშირის მუშაობის პროგრამა დასახა. პლენუმმა განსაზღვრა სკოლის დირექტორის, მასწავლებლებისა და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის კრებას, რომელზეც განხილულ იქნა XII პლენუმის შედეგები, ყველა მასწავლებელი დაესწრო. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ღონისძიებათა დასახვაში და ყოველდღიურად ვეხმარებით კომკავშირულ ორგანიზაციას მათ განხორციელებაში. კომკავშირის კომიტეტის წევრები რჩევისათვის მოდიან ჩვენთან. ამას წინათ მე-6 კლასის მოსწავლე დავითაშვილმა განცხადება შეიტანა კომკავშირში მიღების შესახებ. კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. მუსერიძე კლასის ხელმძღვანელს ვ. პაპიტაშვილს ესაუბრა დავითაშვილის შესახებ. მასწავლებელმა მოსწავლეს რეკომენდაცია მისცა. დავითაშვილი მიიღეს, მან ნდობა გაამართლა: შესანიშნავი ყოფაქცევის მოსწავლეა.

კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციების სამუშაო გეგმები ჩვენი მონაწილეობით სდგება. ამიტომ არის, რომ ეს გეგმები პედაგოგიურად გამართლებულია და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

კომკავშირი პედკოლექტივს მხარდამხარ იბრძვის შეგნებული დისციპლინის დანერგვისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. მოსწავლე იასაშვილი გაკვეთილებზე ხშირად იცელქებდა და ცუდად სწავლობდა. კომკავშირის კომიტეტმა იკისრა მისი გამოსწორება. საუბრებით, პრაქტიკული დახმარებით, გულისხმიერი დამოკიდებულებით იასაშვილი გამოსწორდა.

ჩვენ ხშირად დავდივართ საზოგადოებრივ სანახაობათა ადგილებში, იქ, სადაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები იყრიან თავს. ამ რამდენიმე დღის წინათ მოზარდი მაყურებლის ქართულ თეატრში ვიყავი. სპექტაკლს ჩვენი მოსწავლეები ესწრებოდნენ. თეატრის ხელმძღვანელთან საუბარი მქონდა, მან შეაქო ჩვენი სკოლის მოსწავლეთა ქცევა და დისციპლინა.

ზოგიერთი რამ გავაკეთეთ. უფრო მეტი გასაკეთებელია. ჩვენ დაკისრებული გვაქვს საპატიო მოვალეობა: მომავალი თაობის აღზრდა. ჩვენ ვალდებული ვართ მივცეთ ქვეყანას კულტურული, მომზადებული, მაღალი დისციპლინის მქონე, სამშობლოსათვის თავდადებული, ლენინ-სტალინის საქმისათვის ერთგული ახალგაზრდობა. ეს თვითეულ ჩვენგანს დიდ პასუხისმგებლობასა და დაძაბულ შრომას აკისრებს.

მივაღწევთ იმას, რომ სასწავლო წლის დასასრულს ვუპატაკოთ სამშობლოს, დიდ სტალინს: თქვენი დავალება შესრულებულია!

ლ. კოტრიკაძე,
თბილისის ვაჟთა მე-10 სკოლის დირექტორი

## იოსებ გრიშაშვილის იუბილე

გუშინ, 30 ოქტომბერს, სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო, მიძღვნილი პოეტ იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი.

საღამო გაიხსნა მწერალ შ. დადიანის შესავალი სიტყვით. მოხსენება ი. გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ გააკეთა აკადემიკოსმა შ. ნუცუბიძემ. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს პოეტმა ა. მაშაშვილმა, აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, პროფესორმა ა. ბარამიძემ, მხატვარმა მ. თოიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ა. ჭუჭუნავამ და შ. რამიშვილმა, მწერალმა ს. აფხაზმა და სხვებმა. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: მ. ხარათიშვილმა, კ. ბობოხიძემ, ს. ფაშალიშვილმა, ვ. გაბესკირიამ, ა. აბაშელმა და სხვებმა.

მწერალმა დ. შენგელაიამ წაიკითხა იუბილარის სახელზე მიღებული მრავალი მისალოცი დეპეშა.

ი. გრიშაშვილმა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მაღალი შეფასებისათვის მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიას, ხელისუფლებას, საბჭოთა საზოგადოებრიობას. მან წაიკითხა ორი ლექსი „[illegible]" და „სამშობლოსადმი". [illegible] საზოგადოებამ პოეტს მხურვალე ოვაცია გაუმართა და მრავალი თაიგული მიართვა.

დასასრულ შესდგა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული სცენის ოსტატებმა.

## საკავშირო პრემია საქართველოს სსრ ფინსახკომს

საფინანსო ორგანოების სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის მესამე კვარტალის მაჩვენებლებით მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს სსრ ფინსახკომი, რომელსაც სსრ კავშირის ფინსახკომმა და საფინანსო საბანკო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიანიჭეს მეორე პრემია 75,000 მანეთის რაოდენობით.

რაიონულ საფინანსო ორგანოებს შორის მესამე კვარტალში დაწინაურდნენ:

თეთრი წყაროს რაიფინგანი (გამგე ამხ. ჭ. ირემაშვილი), რომელმაც გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიიღო საქართველოს ფინსახკომისა და საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია 12,000 მანეთის რაოდენობით.

მეორე პრემია, თითოეულს 9,000 მანეთი, მიეცათ წყალტუბოსა და მახარაძის რაიფინგანებს (გამგეები ამხ. გ. კიკატეიშვილი და კ. უჯმაჯურიძე). მესამე პრემია, თითოეულს 7,000 მანეთის რაოდენობით, მიეცათ სამტრედიის და თელავის რაიფინგანებს (გამგეები დ. შანიძე და გ. სიდამონიშვილი). მეოთხე პრემია, თითოეულს 5,000 მანეთის რაოდენობით, მიეცათ გურჯაანის და ზესტაფონის რაიფინგანებს (გამგეები ამხ. მ. გიორგაძე და ს. ნოზაძე).

ჟიურის მიერ აღნიშნულია აგრეთვე ორჯონიკიძის, ქუთაისის (ქალაქის ფინგანისა და რაიფინგანის), აბაშის, კასპის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის, ზუგდიდის, ლაგოდეხის და ჩხარის რაიფინგანების კარგი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში. კამარა ალექსანდრეს ქუჩაზე.
ფოტო ვ. იგნატოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

## ჩრდილოეთ კავკასიის კურორტების აღდგენა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ კოლესნიკოვმა, რომელიც მინერალნიე ვოდიდან დაბრუნდა, თქვენს კორესპონდენტს უამბო, რომ მინერალნიე ვოდის კურორტებზე წარმატებით მიმდინარეობს აღდგენითი მუშაობა. მოკლე ხანში აქ აღდგენილია ძირითადი ბალნეოლოგიური დაწესებულებანი, გახსნილია თითქმის ყველა ტალახ-სამკურნალო და წყლის სამკურნალო, წესრიგში მოყვანილია პარკის მეურნეობა, შეკეთებულია ფაშისტი დამპყრობლების მიერ გაძარცული სანატორიუმების უმეტესობა. ამ დაწესებულებებში უკვე ეფექტიან სამედიცინო დახმარებას იღებენ მძიმედ დაჭრილები, რომელთაც სპეციალური მკურნალობა ესაჭიროებათ.

## ემზადება რკინიგზელთა საკავშირო ფიზკულტურული შეჯიბრებისათვის

მოსკოვის რკინიგზელები — საზოგადოება „ლოკომოტივის" წევრები ემზადებიან სრულიად-საკავშირო ფიზკულტურული შეჯიბრებისათვის, რაც თბილისში იხსნება 6 ნოემბერს. ამ შეჯიბრებაში, რომელიც მოიცავს ფეხბურთს, მძლეოსნობას, ფრენბურთს, კალათბურთს, მონაწილეობას მიიღებს „ლოკომოტივის" 400-მდე უძლიერესი სპორტსმენი. პირველად იქნება გათამაშებული გზათა სახალხო კომისარიატისა და რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თასები სხვადასხვა სახის სპორტში. შეჯიბრებაზე თბილისს მიემგზავრება 75 მოსკოველი.

## რუსული ენის ინსტიტუტი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ დაამტკიცა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება რუსული ენის ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ინსტიტუტის ამოცანები მარტო მეცნიერული და ისტორიული ხასიათის როდია. იგი მოწოდებულია პრაქტიკულად იბრძოლოს კლასიკური რუსული ენის სიწმინდისა და კულტურისათვის. ინსტიტუტის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ უდიდესი მეცნიერი—ფილოლოგები: აკადემიკოსები შჩერბა, დერჟავინი, აკადემიის წევრი-კორესპონდენტები ჩერნიშევი, ისტრინა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვინოგრადოვი და სხვ.

ინსტიტუტი განაგრძობს მუშაობას რუსული ენის ცნობილი აკადემიური ლექსიკონის შედგენაზე. ეს ლექსიკონი შეიცავს ყველა რუსულ სიტყვას, მასში განმარტებულია ამ სიტყვების მნიშვნელობა, ფორმები და ნიუანსები. ინსტიტუტის ისტორიული სექტორი იმუშავებს რუსული ლიტერატურული ენის განვითარების პრობლემებზე. მას მოელის მუშაობა რუსული ენის პირველი ისტორიული ლექსიკონის შედგენაზე. ინსტიტუტში ეწყობა აგრეთვე სლავური, ლიტვური, ლატვიური ენების შესწავლის სექტორები.

## სურათი „პაულიუსის დაკითხვა"

მხატვრული გამოფენისათვის, რომელიც მომავალ წელს უნდა გაიმართოს, რსფს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი იაკოვლევი ხატავს სურათს: „პაულიუსის დაკითხვა". ისტორიული მასალების მიხედვით იგი აღადგენს საბჭოთა კავშირის მხედართმთავრებთან — ვორონოვსა და როკოსოვსკისთან ტყვედ წამოყვანილ გერმანელ ფელდმარშალ პაულიუსის შეხვედრის მომენტს.

## დ. გამრეკელი დიდ თეატრში

საქართველოს სახალხო არტისტი დ. გამრეკელი ემზადება დიდი თეატრის სცენაზე გამოსვლისათვის. დ. გამრეკელი შეასრულებს ელეცკის („პიკის ქალი"), ჟერმონის („ტრავიატა"), ფიგაროს („სევილიელი დალაქი"), ონეგინის („ევგენი ონეგინი") როლებს. განზრახულია აგრეთვე მისი გამოსვლა ოპერა „დემონსა" და „იოლანტაში". დ. გამრეკელი ამას წინათ დიდი წარმატებით გამოვიდა მოსკოვის თეატრების მსახიობთა მონაწილეობით სმოლენსკში გამართულ კონცერტში, წარმატებით მიმდინარეობს მისი გამოსვლები რადიო კონცერტებში.

## გაზსავსები სადგურის მშენებლობა

კუიბიშევის ოლქში ბუნებრივი გაზი სულ უფრო ფართო გამოყენებას ჰპოულობს მრეწველობაში. კუიბიშევის ბევრ ქარხანაში გაზისებრ სათბობზე გადაყვანილია სადნობი და სათბობი ღუმელები, რის მეოხებითაც ყოველ დღე იზოგება ორი ათასზე მეტი ტონა ნავთი და მაზუთი.

სტალინის სახელობის ქარხანაში ბუნებრივ გაზზე გადაიყვანეს 30 სატვირთო ავტომანქანა. გადაწყვეტილია სტალინის სახელობის ქარხნის გამოცდილება სხვა საწარმოებშიც ფართოდ გამოიყენონ. ამ მიზნით შენდება დიდი გაზსავსები სადგური. დღე-ღამეში აქ ბუნებრივი გაზით დამუხტავენ ათას მანქანას. (საკდესი).

## კარტოფილის უმაგალითო მოსავალი

ურალში ფართოდ არის ცნობილი სვერდლოვის ოლქის, აჩიტსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზარიას" მერგოლურის ოლგა ორლოვას სახელი. იგი არის ბოსტნეულის მაღალი მოსავლის ოსტატი. კარტოფილის უმაგალითო მოსავალი მიიღო წელს ორლოვამ საცდელ ნაკვეთზე. ფართობზე, სადაც დარგული იყო „ბერლიხინგელის" უხვმოსავლიანი კარტოფილის 20 კილოგრამი თესლი, მან 32 ცენტნერი კარტოფილი აიღო.

ეს შესანიშნავი წარმატება მოპოვებულია ნაკვეთის გულდასმით მოვლის შედეგად. კოლმეურნეობამ სხვა ფართობებზე 300 ცენტნერი კარტოფილი აიღო ჰექტარზე. (საკდესი).

# პრუსიელთა ტყვეები

**აღმოსავლეთი პრუსია**, 29 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გერმანიის სანაპირო რაიონების მემამულეთა ხუტორები ციხეებს ჰგავს. ქვიტკირის სქელი კედლები, ცემენტით ამოყვანილი სარდაფები, რომელთაც აქვთ ვიწრო ამბრაზურები ტყვიამფრქვევთა დასადგმელად. ასე აგებდნენ ამ ხუტორებს, სპეციალურად რუსეთის წინააღმდეგ. და აქ ცხოვრობდნენ რჩეული ჰიტლერელები, გონებაჩლუნგი, სასტიკი და თავშეყვარებული პრუსიელები.

ვუახლოვდებით ხუტორს. მეპატრონეები გაქცეულან. ჩვენი მებრძოლები ფრთხილად ზვერავენ ქვიტკირის სახლებს და ფარდულებს, ჩუმად ელაპარაკებიან ერთმანეთს, იარაღი შემართული აქვთ. უეცრად სარდაფის შიგნიდან მოისმის კვნესა, თუ მიყრუებული ყვირილი.

— ჩვენებო, ძვირფასებო! აქ ჩვენა ვართ, თქვენიანები! გვიშველეთ ამოსვლა!

მებრძოლებმა გადმოყარეს ქვის გროვა, და სარდაფიდან ამოვიდა სამი ქალი და თხუთმეტი წლის გოგონა. სიხარულის ცრემლმორეულნი ეხვევიან და კოცნიან ისინი მებრძოლებს. ესენი არიან გერმანელი მემამულის ვალტერ შულცის ყოფილი მონები. თვითონ მეპატრონე და მისი ცოლი ბერტა შულცი მხოლოდ გუშინ გაიქცნენ აქედან ცხენშებმული ეტლით. მეეტლედ დასვეს ფრანგი სამხედრო ტყვე ჟანი, რომელსაც რევოლვერით დაემუქრნენ. უკანასკნელ წუთს ჟანი დაეხმარა საბჭოთა ქალებს დამალულიყვნენ.

...ეს ოთხი განთავისუფლებული ტყვე არიან ქალაქ ელნიას მცხოვრებნი ქსენია ივანეს-ასული ივანენკოვა და მისი 15 წლის ქალი მარიამი, კარაჩოვის მცხოვრებნი ფედოსია ალექსიკოვა და კატია ნოზდრაჩოვა. მათ აცვიათ ძველი ტანსაცმელი, გაცვეთილი ფეხსაცმელი. ამ მონებისათვის არც ჯამაგირი არსებობდა, არც ტანსაცმელი, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე კი მუშაობდნენ გერმანელი მემამულისათვის.

— ისე ვცხოვრობდით,—გვიამბობს ქსენია ივანეს-ასული,—რომ საშინელ სიზმარშიც არ დაესიზმრება ადამიანს. ტირილიც აკრძალული გვქონდა. ვისაც თვალებზე ცრემლს შენიშნავდნენ, მაშინვე პოლიციაში გზავნიდნენ. სასტიკად გვქონდა ნაბრძანები: სამზე მეტმა ერთად თავი არ მოიყაროთო, ისე რომ ერთმანეთთან დალაპარაკების საშუალებაც არ გვქონოდა. როგორც შებინდდებოდა, მეპატრონე ოთახებში შეგვყრიდა და ურდულით გამოგვკეტავდა. თუ, მაგალითად, ჩვენი მუშაობა, მისი აზრით, ცუდი იყო, მაშინვე გვგზავნიდა პოლიციელთან მეზობელ დაბა მელკემენში. იქ პირველად სამ დღეს ცივ სარდაფში ვყავდით, მეორედ კი 20-30 მათრახს დაგვკრავდნენ.

აქ სამშობლოდან გამორეკილი მამაკაცებიც იყვნენ. მაგრამ ყველა ისინი გერმანელებმა შუაგულ გერმანიაში წაიყვანეს ბადრაგით. ჩვენც გაგვრეკდნენ, რომ არ დავმალულიყავით. ჩვენ ვიცოდით, თუ გერმანელები გვიპოვნიდნენ, დაგვხვრეტდნენ, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ გერმანელების ხელში წყეულ მონობას სიკვდილი სჯობია. წადით წინ, წადით ჩქარა, ძვირფასებო, ათავისუფლეთ ჩვენი ადამიანები გერმანელთა ტყვეობიდან!

ასე დაამთავრა ამბავი ქსენია ივანეს-ასულმა ივანენკოვამ.

ბევრ ასეთ ტყვეს ათავისუფლებენ ჩვენი მებრძოლები აღმოსავლეთ პრუსიაში.

**ნიკ. ბოგდანოვი**

# დეპეშები

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია:

ზეიდ-ბეველანდის ნახევარკუნძულზე გაფართოებულია მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრეები ბეველანდის არხს გაღმა.

შელდის სამხრეთით მოკავშირეებმა ზაიდზანდეს გარეუბნებს მიაღწიეს.

ჰოლანდიაში შეჭრის რაიონის აღმოსავლეთით მოგერიებულია კონტრიერიში მაიელის ჩრდილოეთითა და დასავლეთით.

ფრონტის უბანზე აახენიდან პარუას ტყემდე არსებითი არაფერი მომხდარა. აახენისა და მონშაუს რაიონში პატრულები მოქმედებდნენ.

28 ოქტომბერს დილით გერმანიის მსხვილყალიბიანმა ქვემეხებმა ქალაქ ლუქსემბურგს დაუშინეს. ეპინალის სექტორში მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ ბრიუიერის აღმოსავლეთით. მოწინააღმდეგე ძლიერ საარტილერიო სროლას აწარმოებდა ამ რაიონის რამდენიმე პუნქტში და ვოგეზის მთისძირებში.

მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები, რომლებსაც ავიაგამანადგურებლები ახლდნენ, დღისით თავს დაესხნენ კელნს. ავიაციის სხვა შენაერთებმა გააფთრებით დაბომბეს კუნძული ვალხერენი და მტრის მთელი რიგი სამხედრო ობიექტები ჰოლანდიასა და გერმანიაში.

**ლონდონი**, 30 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია:

შელდის სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კადზანდი და ზაიდზანდე. ზაიდ-ბეველანდში მოკავშირეთა ჯარებმა გაათავისუფლეს ჰუსი და შეუერთდნენ ავიასადესანტო ჯარებს ჰუდეკენსკერკეს რაიონში. ზღვიდან გადმოსხდარმა დესანტმა პლაცდარმი გააფართოვა დასავლეთის მიმართულებით.

მაასის სამხრეთით მოკავშირეთა ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ მთელი ფრონტით. ჯარებმა, რომლებიც აღმოსავლეთიდან უტევენ, გაათავისუფლეს ქალაქი ბრედა. ნაწილებმა, რომლებიც სამხრეთიდან მიიწევენ წინ, გადასჭრეს ბრედასა და როზენდაალს შუა მდებარე გზა.

ტილბურგის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარები რამდენიმე მილზე იმყოფებიან ლოონ-ოპ-ზანდის ჩრდილოეთით და დასავლეთით. გამანადგურებელმა ბომბდამშენებმა სარკინიგზო მიმოსვლა შესწყვიტეს ამერსფორტსა და ზვოლეს შუა, ვენლოს რაიონში და სხვა ადგილებში ჰოლანდიის სექტორის ზურგში.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა მოქმედებას მტრის ობიექტების წინააღმდეგ.

## საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე

**ლონდონი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მოკავშირეთა ჯარების მოქმედება პატრულირებით განისაზღვრებოდა.

მოკავშირეთა საჰაერო ძალების ოპერაციები 28 ოქტომბერს ავდარის გამო შეზღუდული იყო. ავიაციის მცირე შენაერთები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ობიექტებს გერმანიასა და იუგოსლავიაში.

**ლონდონი**, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

იტალიაში აქტიურად მოქმედებდნენ პატრულები.

საბერძნეთში 29 ოქტომბერს ქალაქ კოზანის (ჩრდილოეთი საბერძნეთი) დასავლეთით ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ, რომელთა განმავლობაში მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა, ქალაქი ინგლისის ჯარებმა დაიკავეს. მოწინააღმდეგე ჩრდილოეთისაკენ იხევს უკან და მოკავშირეთა მოწინავე ნაწილები განაგრძობენ მის დევნას. „სპიტფაირის" მარკის თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ რკინიგზის ტრანსპორტს სალონიკის რაიონში.

არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, მძიმე ბომბდამშენთა მცირე შენაერთი ავიაგამანადგურებლების თანხლებით თავს დაესხა ობიექტებს სამხრეთ გერმანიაში.

ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ დაახლოებით 700 თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

## მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ავიაციის სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ 28 ოქტომბერს ღამით ორჯერ დაესხნენ თავს კელნს. ქალაქში ჯერ კიდევ გრძელდებოდა გუშინდელი დაბომბვის შედეგად გაჩენილი ხანძრები. თვითმფრინავთა სხვა შენაერთმა დაბომბა გერმანიის წყალქვეშა ნავების ბაზა ბერგენში (ნორვეგია).

როიტერის სააგენტოს ცნობით, ყველა ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო 1.300-ზე მეტმა თვითმფრინავმა.

## ინგლისში გაიხსნა პროფკავშირების წევრ ქალთა კონგრესი

**ლონდონი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). 27 ოქტომბერს ლეიჩესტერში გაიხსნა პროფკავშირების წევრ ქალთა მე-14 კონგრესი. კონგრესის დელეგატები 1.668.000 ქალის წარმომადგენელნი არიან. კონგრესის თავმჯდომარემ ფლორენს ჰენკოკმა აღნიშნა, რომ 14-დან 64 წლამდე ასაკის მომუშავე ინგლისელ ქალიშვილთა და ქალთაგან, რომელთა რიცხვი თითქმის 8 მილიონს შეადგენს, ამჟამად მხოლოდ ცოტანი არიან პროფკავშირთა წევრები.

## გაიხსნა ბრიტანეთის კომპარტიის XVII ყრილობა

**ლონდონი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ დილით შერდიჩის (ლონდონის აღმოსავლეთი რაიონი) რატუშაში გაიხსნა ბრიტანეთის კომპარტიის XVII ყრილობა. ყრილობის გახსნას დაესწრო 800-ზე მეტი დელეგატი, მრავალი სტუმარი და პრესის წარმომადგენელი.

ყრილობის გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვა აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა გალახერმა.

## სამხედრო წარმოების ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარემ კრუგმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაებნენ, გამოშვებულია 240.000 თვითმფრინავი, აქედან 25.000 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი, აგრეთვე 70.000 ტანკი. როგორც გაზეთი აღნიშნავს, თვითმფრინავმშენებლობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენს ქალაქი ნიუ-იორკი. მისმა საავიაციო ქარხნებმა მიიღეს 1,3 მილიარდი დოლარის ღირებულების დაკვეთა, რის შესასრულებლადაც საჭიროა ათასობით დამატებითი მუშა.

## დამხარისხებელი სადგურების დაბომბვა გერმანიაში

**ლონდონი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის 350-მდე მძიმე ბომბდამშენი 200 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა გერმანიის უდიდეს დამხარისხებელ სადგურს ჰამში და დამხარისხებელ სადგურს მიუნსტერში.

## უცხოეთის ქრონიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს აღნიშნავენ. ამასთან დაკავშირებით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრის თანაშემწე ბარდი, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის ფლოტში ახლა ითვლება 23 სახაზო გემი, 23 ავიოსანი თვითეული 10-დან 27 ათასამდე ტონა წყალწყვისა, 65 თანმხლები ავიოსანი, 500-ზე მეტი საესკადრო ნაღმოსანი და 200-ზე მეტი წყალქვეშა ნავი. ომის განმავლობაში აგებულ საბრძოლო ხომალდთა ტონაჟი ერთიხუთად აღემატება ზარალს.

როგორც ამჟამად გამოირკვა, იაპონელთა ზარალი კუნძულ ლეიტეს სამხრეთით 25 ოქტომბერს მომხდარ ბრძოლაში გაცილებით მეტია, ვიდრე ამის შესახებ წინათ იუწყებოდნენ. სულ ამ ბრძოლაში იაპონელებმა დაჰკარგეს 2 სახაზო გემი, 4 კრეისერი და 10 საესკადრო ნაღმოსანი. ამერიკის ფლოტმა დაზუსტებული ცნობებით დაჰკარგა 2 საბადრაგო ავიოსანი და 3 საესკადრო ნაღმოსანი. სულ წყნარ ოკეანეში ომის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტმა დაჰკარგა 217 სამხედრო ხომალდი, მათ შორის ერთი სახაზო გემი, 9 ავიოსანი, 9 კრეისერი, 52 საესკადრო ნაღმოსანი, 32 წყალქვეშა ნავი და 114 სხვა გემი. (საკდესი).



„ჟამთაბერის ასული" თელავის თეატრში. სურათზე: მეფე—ა. მაღლაკელიძე დ... რუსუდანი—ქ. ბოჭორიშვილი, ბარძიმი — ა. კუპატაძე, მერაბი — გ. მამუჩაშვილი, ჟამთაბერი—პ. ახვლედიანი.
ფოტო—ი. ტორი...

# თელავის თეატრის ორი სპექტაკლი

თბილისის მაყურებელმა ნახა თელავის თეატრის ორი სპექტაკლი. თელავის თეატრის გასტროლებს, რომლებიც მოეწყო პლეხანოვის კლუბსა და მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, დიდი მნიშვნელობა აქვს: ერთის მხრივ, თბილისის მაყურებელი გაეცნო რაიონის თეატრს და, მეორე მხრივ, რაიონის თეატრის კოლექტივმა მიიღო სტიმული მუშაობის კიდევ უფრო უკეთ წარმართვისათვის.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიონის თეატრები სამამულო ომის დღეებში საგრძნობლად გაიზარდნენ. მოკლე დროში მათ შესძლეს მუშაობის გარდაქმნა და მაყურებელს უჩვენეს მთელი რიგი მხატვრულად გამართული სპექტაკლები. ამ მოწინავე სარაიონო თეატრებს შორის არის თელავის თეატრიც.

დადგმებმა—„ირმის ხევი" და „ჟამთაბერის ასული"—გვიჩვენეს, რომ თელავის თეატრის კოლექტივი წინ წასულა. ორივე სპექტაკლი კარგად მოფიქრებული და შესრულებულია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უნაკლონი არიან. ჩვენ იმის აღნიშვნა მიგვაჩნია საჭიროდ, რომ თეატრს ეტყობა ჯანსაღი ზრდა.

„ირმის ხევის" დამდგმელ რეჟისორს ა. მაღლაკელიძეს სწორად გაუაზრებია პიესა. სწორად არის გადაწყვეტილი კოკაევისა და ასმათის დამოკიდებულება. ფარნიონის და საბაშვილის როლები ისეა განაწილებული, რომ საბაშვილი არ იჩრდილება. ა. კუპატაძე კარგად თამაშობს ფარნიონის როლს, მაგრამ იგი მაინც მოქმედებს საბაშვილის (მსახიობი ა. ახვლედიანი) ხელმძღვანელობით. ასმათის სახე კარგად არის მოფიქრებული პიესაში. ქ. ბოჭორიშვილმა დასამახსოვრებელი, საინტერესო სახე შექმნა. მისი ასმათი ცოცხალი, ცქრიალა, საზრიანი, სამშობლოს მოყვარული საბჭოთა ქალიშვილია.

უნდა აღვნიშნოთ გ. მამუჩიშვილის (კოკაევი), ა. მაღლაკელიძის (გავაშელი), ქ. მაჭავარიანის (ფატმანი), ვ. მაისურაძის (ბადრი) და ბ. ბეგიჯანოვის (მურთაზ) შეწყობილი თამაში. ანსამბლს ხელს უწყობდნენ ვ. პაპაიანი (ვირმანელი პოლკოვნიკი), ლ. მარკოზაშვილი (სულხანი), ნაპოლეონი (ყარამანი) და შ. თარხანოვი (უცნობი).

„ჟამთაბერის ასულიც" საინტერესო სპ...ტაკლია.

ა. მაღლაკელიძემ მეფის საუცხოო სა... მოგვცა. მან ავტორის შთანაფიქრი სწო... გაიგო. მეფე არის დინჯი, გონიერი მმართ...ლი, რომელიც განუწყვეტლივ ეძებს გზ... უკეთ როგორ უპატრონოს სახელმ... ვ. მაისურაძის უფლისწულიც კარგად ... მოფიქრებული და შესრულებული. ზოგი... მსახიობი არჩილს წარმოგვიდგენს, რო... დეგენერატს, გადაგვარებულს. ვ. მაის... სწორად მოიქცა, როცა არჩილი ... როგორც სასახლეში განებივრე... მაგრამ ჭკვიანი ყმაწვილი.

ვ. პაპაიანის ჩუბინა და ვ. ბოჭორიშვილ... აგაბო დასამახსოვრებელი სახეებია.

ქ. მჭედლიშვილმა და ქ. ბოჭორიშვ... რუსუდანის როლი მშვენიერად შეასრულ... ეს ორი მსახიობი ქალი კარგ ძალად მოსხ... მეწისქვილე შიოს მიმზიდველი სახე შ... მსახიობმა ნაპოლეონმა.

ჟამთაბერი და ბარძიმი პიესის წამყვ... როლებია. ავტორმა ეს ორი ფეოდალი ერ...გვარი ფერადებით დახატა. პ. ახვლედია... (ჟამთაბერი) და ა. კუპატაძე (ბარძიმი) ც...ლობენ განსხვავებულად შეასრულონ ეს რ...ლები, მაგრამ ამას ვერ აღწევენ. ამ შთაბ...დილებას ხელს უწყობს აგრეთვე ერთგვ... ჩაცმულობა, რომელიც—ესეც უნდა აღნ...ნოთ—არ შეეფერება ფეოდალს.

მერაბზე (გ. მამუჩაშვილი) პიესაში ბ... ლაპარაკობენ, თუმცა არაფერს აკეთებინებ... უმოქმედო გმირის განსახიერება ძნელია.

ყველაზე სუსტია სპექტაკლში კარ... როლის შემსრულებელი ლ. მარკოზაშვ... მას არ გამოუდის იმერლისათვის დამახას...თებელი ინტონაცია. მკრთალია ივლიანეს ს...ხეც (მსახიობი შ. თარხანოვი).

თელავის თეატრის ორმა სპექტაკლმა გვიჩ...ვენა, რომ ამ თეატრს კარგი პერსპექტ... აქვს.

**ბ. ნუცუბიძე**

# კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო სეზონი დამთავრდა. ეს პარკი თბილისის მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილია. პარკმა წელს კარგად მოაწყო მუშაობა და მოემსახურა ერთ მილიონ მაყურებელს.

პარკში მოწყობილი იყო მხატვრული გამოფენები — სტენდები: „ქართველი ხალხის გმირი შვილები", „დიდი სამამულო ომი", „ქართველი მხედართმთავრები 1812 წლის სამამულო ომში", „ზურგი — ფრონტს", „ფაშისტების მხეცობა" და სხვ. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ფრონტების რუკა", რომელთანაც ყოველდღე მრავალი ხალხი იკრიბებოდა. რუკასთან მოწყობილი იყო კონსულტაცია. კვალიფიციურმა ლექტორებმა დოცენტმა ზავრიევმა, ნ. რუბენიმ, სულეიმანმა, ფრიშენბერგმა მრავალი ლექცია წაიკითხეს სამამულო ომის თემებზე. პარკის სამკითხველო მოემსახურა 30.000 მკითხველს.

დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე პარ... რადიოკვანძმა, რომელიც სისტემატურად გ... დასცემდა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძან...ბებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ოპ...რატიულ ცნობებს, და სხვა მნიშვნელოვ... რადიოგადაცემებს, რასაც დიდძალი ხალ... უსმენდა.

საზაფხულო სეზონის განმავლობაში პარკმა მოაწყო რამდენიმე მასობრივი სეირნობანი.

თბილისის ცალკე რაიონებისათვის პარკმა მოაწყო ხუთი დიდი სეირნობა-კონცერტი. მთელი შემოსავალი ნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით გადაეცა ფრონტელთა ოჯახების დამხმარე ფონდს.

პარკი მოემსახურა ბავშვებსაც. მოწყობილი იყო საბავშვო ქალაქი, კარუსელი, მუშაობდა საბავშვო რკინიგზა. პარკის ტერიტორიაზე მოქმედი ორი საბავშვო მოედანი მოემსახურა 500 ბავშვს.

## საფეხბურთო მატჩი თეირანი—თბილისი

**თეირანი**, 28 ოქტომბერი. (საკდესი). აქ შესდგა საფეხბურთო მატჩი თბილისისა და თეირანის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია თეირანელთა შორის. სტადიონზე იყო დაახლოებით 15 ათასი მაყურებელი, დამსწრეთა შორის იყვნენ ირანის შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ს. ქავთარაძე, სსრ კავშირის ელჩი ირანში მაქსიმოვი. მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით, რომლებმაც მოიგეს ანგარიშით 4:0.

## ლექცია

**2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე**, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (პლეხანოვის პრ. № 83) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„წითელი არმიის დიადი ისტორიული გამარჯვებანი".**

შესვლა თავისუფალია

## თეატრებში

**31 ოქტომბერს:** სახელმწიფო ოპერა — „რიგოლეტო". **რუსთაველის სახელობის** — „სამშობლო". **მარჯანიშვილის სახელობის** — „ჟამთაბერის ასული". **სომხური** — „სომ... ქალი". **ახუნდოვის სახელობის** — „ქალწულ... კოშკი". **მუსკომედიის** — „როზ-მარი". **მოზარდი მაყურებლის** — **ქართული** — „ჩექმ...ბიანი კატა", **რუსული** — „გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში".

## კინოებში

**31 ოქტომბერს:** რუსთაველის სახელობის — ოქტომბერი — „ზოია". **დამკვრელი** — „მასწავლებელი" **სპარტაკი** — „მზიური ვ...ლის სერენადა" **კომკავშირელი** — „ვოლგა-ვოლგა". **26 კომისრის სახელობის** — „ვრიგა...ლი". **ლუქსემბურგის სახელობის** — „ჯორჯ... დინკი-ჯაზიდან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გ. ნანიტაშვილი**

**საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველო აცხადებს**, რომ ა. წ. 1 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ ტარდება ავტო-მოტოტრანსპორტის, რეზინის საბურვლიანი ტრაქტორებისა და მისაბმელების წლიური ტექნიკური შემოწმება.

ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები და ავტომანქანების მფლობელნი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ ავტოტრანსპორტის მომზადებას ტექნიკური შემოწმებისათვის.

შემოწმებაზე წარდგენილი ავტოტრანსპორტი ტექნიკურად წესრიგში მოყვანილი და შეღებილი უნდა იყოს. სატვირთო ავტომანქანებზე, ძარის სამივე გვერდზე წარწერილი უნდა იყოს მიკუთვნებული სახელმწიფო სანომრო ნიშანი სტანდარტული ზომისა (სიმაღლე 30 სანტ., სიგანე 15 სანტ., შტრიხის სისქე 3 სანტ.).

ავტომანქანებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ უკანა ფარანი ნომრის გასანათებლად.

ავტოტრანსპორტის შემოწმებაზე წარდგენისას აუცილებელია თან იქონიონ: 1. ტექნიკური პასპორტი, 2. სახელმწიფო ბანკის საქალაქო განყოფილების ქვითარი თვითეულ მანქანაზე და რეზინის საბურვლიან ტრაქტორებზე 15 მანეთის და მოტოციკლებზე და მისაბმელებზე 10 მან. გადახდის შესახებ.

ფული შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშში კარი 12 § 7, 3. ცნობები ავტოტრანსპორტის საუწყებო კუთვნილებისა და მანქანების გარბენის (კილომეტრაჟის) შესახებ.

ქ. თბილისში ერთეულ და ინდივიდუალურ მფლობელთა ავტოტრანსპორტის შემოწმება იწარმოებს პუნქტზე — სამოქალაქო ქ. № 1, ყოველდღე 10 საათიდან 15 საათამდე.

ავტოტრანსპორტის ყველა მფლობელი ვალდებულია პირადად უზრუნველჰყოს მისი კუთვნილი ავტოტრანსპორტის წარდგენა ტექნიკურ შემოწმებაზე, ისე რომ არცერთი მანქანა არ დარჩეს ტექნიკურად შეუმოწმებელი.

ის პირნი, რომლებიც დაარღვევენ ამ მოთხოვნილებას, დაჯარიმებული იქნებიან 300 მანეთით.

საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე
მილიციის პოლკოვნიკი **ბოცირიძე**
სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი მილიციის მაიორი **მანსვეტოვი**

მშობლები თინა, ალექსანდრე ასლანიკაშვილები შვილებით, ბებია მენიკო შვილებით, შვილიშვილებით, ბიძა ანდრო გელოვანი ცოლ-შვილით იუწყებიან **ანზორის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ფინსახკომის ადგილკომი იუწყება პარტბიუროს მდივნის შალვა **დიმიტრის-ძე ლოლომაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარო, შვილი ეთერ, ძმა ალექსი, ძმისწულები თამარ, ლენა, ქვისლი ნიკოლოზ იუწყებიან **შალვა დიმიტრის-ძე ლოლომაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1/XI, 5½ ს. ათარბეგოვის, 31.

მეუღლე დომნა, შვილები შალვა, ვერა, ალექსანდრე, აკაკი, დარიკო კილასონია, მარო, გრიშა, ნინო ახობაძეები იუწყებიან **ლუკა ლაზარეს-ძე კვანტალიანის** გარდაცვალებას.

გამწვანების ტრესტის დიღომის საბაზისო სანერგის თანამშრომლები იუწყებიან **ვლადიმერ ლევანის-ძე ბეჟიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/X, 3½ ს. სასკოლო შესახ. 9.

შვილები ალექსი, ლევან, ელენე, რძლები მარო, ნინო, შვილიშვილები ლამარა, ასმათი, ზაირა იუწყებიან **დავით მიხეილის-ძე ყაზიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/X, 4½ ს. შრომის შესახ. 54.

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე იუწყება ქეთო ცხადაძის ძმის **შალვა არქიპოს-ძე ცხადაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/X, 5 ს. საპროექტო, 24.

მეუღლე ანა, შვილი ნუნუ, და ევა, სიძე გიორგი პეტრიაშვილი იუწყებიან **დავით მიხეილის-ძე ყაზიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/X, 4 ს. შრომის შესახვევი, 54.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომი იუწყება ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ **ელენე გაბრიელის-ასულ ამბოკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/X გამოსვენება 1/XI, 6 ს. მარის II ჩიხი, 8.

კალინიკა ტოგონიძე შვილებით, სიძეებით, რძლებით, შვილიშვილებით იუწყება **შალვა არქიპოს-ძე ცხადაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 41.800 უე 07920